

# ძეგლის მეგობარი

56

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND CULTURAL MONUMENTS

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი 1981


ეროვნული ბიბლიოთეკა



კრებულ „ძეგლის მეგობრის“ № 18 გამოქვეყნდა უბისის ანსამბლის 1141 წ. აგებული სვეტის აღდგენა-გამაგრების პროექტი. აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები რამდენიმე წელია რაც განხორციელდა ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახსრებით.

აქ მოცემულია სვეტის ხედი რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.

В сборнике «Дзеглис Мегобари» № 18 была опубликована статья о проекте восстановительных работ Убисского столпа (1141 г.). Памятник уже восстановлен Обществом охраны памятников истории и культуры Грузии.

Здесь дается вид столпа до и после реставрации.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერია: „მატერიალური კულტურის ძეგლები“

# ძეგლის მეგობარი

კრებული ორმოცდამეთექვსმეტე

ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVI ყრილობა-
სა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა . . .
იოსებ ბანძელაძე — რელიეფები ჭაშლეთის ეკლესიიდან . . . . . . . . 22
ვახტანგ ცინცაძე — მარტვილის სვეტი . . . . . . . . . 30
გიორგი ბერიძე — „მეპურის სახლი“ პურის მოედანზე . . . . . . . . 40
გიორგი ჯავახიშვილი — ადამიანის სახე უძველესი ხანის საქართველოს მცირე პლასტიკაში . . . . . . . . 49
გურამ ყიფიანი — ცალკეული არქიტექტურული დეტალები ვანის ნაქალაქარიდან . . 55
ლუიზა გვრიტიშვილი — წყალსატევი ყორანთის ნასოფლარზე . . . . . . . 64
ნუგზარ ანდღულაძე — ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი იტალიაში . . . . . . . . 66
სარა ბარნაველი — სამეცნიერო სესია მიძღვნილი გ. ჩუბინაშვილის დაბადების 95 წლისთავისადმი . . . . . . . . 70
გახსენება (იაკობ ფუტკარაძის ხსოვნას) . . . . . . . . 72
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე . . . . . . . 73-79

## СОДЕРЖАНИЕ

VI съезд Общества охраны памятников культуры Грузии . . . . 5
**И. Бандзеладзе** — Рельефы из Чашлетской церкви . . . . . 22
**В. Цинцадзе** — Мартвильский столп . . . . . . . . 30
**В. Беридзе** — «Дом пекаря» на Хлебной площади . . . . 40
**Г. Джавахишвили** — Образ человека в малой пластике древней Грузии 49
**Г. Кипиани** — Отдельные архитектурные детали из Ванского городища 55
**Л. Гвритишвили** — Водоем на селище Коранта . . . . . 64
**Н. Андгуладзе** — III Международный симпозиум по грузинскому искусству 66
**С Барнавели** — Научная сессия посвященная 95-летию со дня рождения Г. Чубинашвили . . . . . . . . . 70
**И. Гветадзе** — Памяти Я. Д. Путкарадзе . . . . . . . 72
Аннотации на русском и английском языках . . . . . 73—79

გარეკანზე — მარტვილის სვეტი რესტავრაციამდე, ფოტო ვ. ცინცაძის.

На обложке — Мартвили. Столп. До реставрации. Фото В. Цинцадзе.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა

1980 წ. 19 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ო. ჩერქეზია, ჯ. შარტავა, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, მეცნიერები, ლიტერატორები, მოძმე რესპუბლიკებიდან — სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმრები.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობისადმი.

ყრილობაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა, პროფ. ი. ციციშვილმა.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების სარევიზიო კომისიის ანგარიში ყრილობაზე გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კანდელაკმა, სამანდატო კომისიის ანგარიში — ამ კომისიის თავმჯდომარემ შ. პაპიძემ.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბერიძე, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენის", ხარატი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მ. გორგაძე, პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. მეზვრიშვილი, საქართველოს სსრ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფ. ო. ლორთქიფანიძე, აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი, ა. არღუნი, ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ღოლიჯაშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ა. ტაკიძე, მწერალი ჭ. ამირეჯიბი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურის ძეგლთა დაცვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ა. კოჩიევი, პროფ. ს. სერებრიაკოვი, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგე ს. ხოშტარია, სკკპ წევრი 1917 წლიდან დ. ლომაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი თ. ბადურაშვილი, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. სანებლიძე.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ გ. ენუქიძემ.

გაიმართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ახლად არჩეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა. საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ციციშვილი, მის მოადგილეებად — ო. სანებლიძე, გ. პაპალაშვილი, ვ. ბერიძე და ო. ლორთქიფანიძე. საზოგადოების საბჭოს მდივნად არჩეულია ი. ზაქარიაშვილი.



კ. მარქსის სახ. ს'ქ. სსრ
სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობას და უსურვებენ დიდ წარმატებებს მუშაობაში.

კომუნისტური პარტია და მისი დამაარსებელი ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს, როგორც ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის აღზრდისა და მისი მსოფლმხედველობის ფორმირების მძლავრ საშუალებას.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ შემოქმედებითად გამოიყენა დიდი გამოცდილება და თავისი არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ძვრებისა და გარდაქმნების შედეგად დიდი და საინტერესო საქმიანობა გასწია, გამოიმუშავა სასარგებლო ტრადიციები, ხალხის მხარდაჭერა და პატივისცემა დაიმსახურა. საზოგადოების მოღვაწეობის თანამედროვე ეტაპი ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ძეგლთა დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში ახალი წარმატებებით არის აღნიშნული.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეს, როცა ჩვენი პარტია და ხალხი ემზადებიან სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, როცა რესპუბლიკა განიცდის კანონიერი სიამაყის გრძნობას მნიშვნელოვანი შრომითი გამარჯვების მოპოვების — მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და მასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების გამო.

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ზრდის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით პარტიის XXVI ყრილობისათვის „1981-1985 წლებში და 1990 წლის პერიოდამდე სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი“, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას და მთელი იმ ძალების შეკავშირებას, რომლებიც მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან.

ჩვენი საერთო განზრახვაა ყველაფერი ვიღონოთ, რათა არასოდეს არავითარი ზიანი არ მიადგეს ხალხთა გარჯით მონაპოვარს, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ამას წინათ ინდოეთში ვიზიტის დროს. ლეონიდ ილიას ძის ეს ღირსშესანიშნავი სიტყვები პრაქტიკული საქმიანობის დევიზად უნდა იქცეს კულტუ-

რის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის დელეგატთათვის, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობა საბჭოთა საზოგადოების ამ ნათელ და კეთილშობილურ იდეებს უნდა შეუხამონ; ამით ისინი დაიცავენ უკვდავ ღირებულებებს, რომლებიც ხალხმა შექმნა, კულტურის დიდებულ ძეგლებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, რევოლუციური მოძრაობის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების ისტორიას ასახავენ.

ლენინური დეკრეტების ლოგიკური შემოქმედებითი განვითარებაა კანონები, რომლებიც მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებმა — „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ". ეს კანონები აისახა აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებში.

უკანასკნელ წლებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. შეიქმნა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, არნახული მასშტაბი მიიღო ძეგლთა გამოვლენის, დაცვის, რესტავრაციისა და რეგენერაციის საქმემ, განსაკუთრებით გაიზარდა კულტურის ძეგლთა დაცვის მნიშვნელობა მოსახლეობის პატრიოტული, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში. ახლახან მიღებულ იქნა დადგენილება არქეოლოგიური კვლევის შემდგომი გაფართოების შესახებ, მზადდება დადგენილება ძეგლთა დაცვის საქმის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების მთავარი ამოცანაა უფრო ფართოდ, შემოქმედებითად გაშალოს მომავალში თავისი მუშაობა, მიზანსწრაფულად ჩაატაროს ხალხის სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა კვლევა, შესწავლა, დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურის ძეგლების, წარსულის მემკვიდრეობის შესწავლა მთლიანად და სრულად უნდა დაექვემდებაროს დღევანდელ მოთხოვნებს, რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, კულტურის ძეგლთა აქტიურად გამოყენებას ჩვენი მშრომელების, ჩვენი ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტურ აღზრდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა, მისი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ამოცანების განხორციელებას, რომ ძეგლთა დაცვის საზოგადოების მრავალათასიანი კოლექტივი მთელ თავის მუშაობას წარმართავს პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად!

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

1980 წლის 19 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობის წინ*

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა ეწყობა ჩვენი ხალხის განსაკუთრებული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. ჩვენმა რესპუბლიკამ დიდი გამარჯვება მოიპოვა — ვადამდე შეასრულა ხუთწლედი, რისთვისაც საქართველოს მშრომელებს გულითადად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ახლა ჩვენში წარმატებით მიმდინარეობს, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის სამზადისი. მთელი ხალხი გულდასმით და დიდი შეგნებით განიხილავს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების" პროექტს — პარტიის ლენინური ხაზის განხორციელების საპროგრამო დოკუმენტს, რომელიც განმსჭვალულია ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით.

დასახულ ამოცანათა შესრულებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის სულიერ ფორმირებას. ამ საქმეში კი თავისი სიტყვა უნდა თქვას საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამაც. ჩვენი ძეგლები, ჩვენი დიდებული მემკვიდრეობა უნდა ემსახურებოდეს ხალხს, მისი კულტურული დონის, შეგნების ამაღლებას.

კულტურის ძეგლების დაცვას ჩვენს რესპუბლიკაში მუდამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამის თვალსაჩინო მაჩვენებელია თუნდაც ის გარემოება, რომ პირველად სწორედ საქართველოში 1959 წელს შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება და სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო. 1977 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". დადგენილების საფუძველზე დაისახა მნიშვნელოვანი ღონისძიებები რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა შესწავლის, მოვლა-პატრონობისა და გამოყენებისათვის. შეიქმნა ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, რომელმაც თავისი არსებობის მცირე პერიოდის მიუხედავად ბევრი რამ გააკეთა ძეგლების გამოვლენის, შესწავლისა და დაცვის საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სარესტავრაციო სამუშაოთა მოცულობა, იქმნება მძლავრი სამშენებლო ბაზები, დაიწყო რესტავრატორთა კადრების გეგმიანი მომზადება და სხვა მრავალი.

აღნიშნულმა დადგენილებამ გაზარდა აგრეთვე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შესაძლებლობანი და მოვალეობანი, ამაღლდა პასუხისმგებლობა, განმტკიცდა საზოგადოების ფინანსიური ბაზა, გაჩაღდა მასობრივ-პროპაგანდისტული მუშაობა.

---

* იბეჭდება შემოკლებით.

ამჟამად საქართველოში არ არის ოლქი, ქალაქი, რაიონი, მსხვილი დასახლებული ადგილი, სადაც არ იყოს ძეგლების დაცვის შესაბამისი ორგანიზაცია. რამდენადაც საზოგადობა თავის რიგებში აერთიანებს სხვადასხვა ასაკის, განათლების და პროფესიის ადამიანებს, საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს მართებს მათი სურვილების, ინტერესების და შესაძლებლობათა გათვალისწინება.

საზოგადოების საბჭო ილვწოდა მუშაობის სხვადასხვა ფორმის და მეთოდის გამოძებნისათვის. მაგალითად, საბჭომ დაამყარა კონტაქტი საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, საქართველოს განათლების სამინისტროსთან და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტთან. მათი შემწეობით გაშალა ფართო მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის.

არ შეიძლება არ ალინიშნოს ის საინტერესო და მეტად სასარგებლო საქმე, რომელსაც საზოგადოების პრეზიდიუმთან მჭიდრო კონტაქტით ახორციელებს გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქცია.

კანონში „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ ნათქვამია: „სსრ კავშირში ძეგლები ემსახურება მეცნიერების, სახალხო განათლების და კულტურის განვითარებას, საბჭოთა პატრიოტიზმის მალალი გრძნობების ჩამოყალიბებას, მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური ალზრდის მიზნებს“. ითვალისწინებდა რა ალნიშნულს, საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმმა დიდი მასშტაბის ლონისძიებანი განახორციელა ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდის მიზნით. მნიშვნელოვანი იყო ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან ერთად მოწყობილი ზონალური სესიები ქვემოქალაში (კასპის რაიონი) — შიდა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებისათვის, სილნალში — შიდა და გარე კახეთის რაიონებისათვის, ახალციხეში — სამხრეთის რაიონებისათვის, მესტიაში — სვანეთისათვის. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები გაიმართა წალენჯიხის, გეგეჭკორის და სხვა რაიონებში. უთუოდ მოწონებას იმსახურებს ლონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება უშუალოდ ძეგლებზე. საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მოაწყო სხდომა მარტყოფის მონასტერში. აქ წაიკითხეს მოხსენებები, შეკრებაში მიინაწილეობა მიიღეს მოსწავლე ახალგაზრდობამ, შემოქმედებითმა კოლექტივებმა, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. ამ შეკრებამ თვალსაჩინოდ დაგვანახა, როგორ შეიძლება მოუარო და დაიცვა ძეგლი და ამასთანავე აქციო იგი კულტურისა და დასვენების კერად.

ანალოგიური ლონისძიებანი განხორციელდა გორის ციხესთან, ანანურის ხუროთმოძლვრულ ანსამბლში, სამშვილდეში, დავით-გარეჯში და სხვ.

საზოგადოების აქტივის ფორმირების მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სახალხო და კულტურის უნივერსიტეტებს .ასეთი უნივერსიტეტები უკვე მოქმედებენ იყალთოში, დავით-გარეჯში, გელათში, საფარაში, ზარზმაში, დიდგორზე და სხვ. ვინაიდან სახალხო უნივერსიტეტები წარმოადგენენ არა მარტო პროპაგანდისტული მუშაობის ეფექტიან ფორმას ,არამედ აქტივის, კადრების მომზადების მიზანშეწონილ ფორმასაც, ისინი იმსახურებენ უფ-

რო მეტ ყურადღებას, და საჭიროებენ მთელი ქსელისათვის ერთიანი პროგრამის შემუშავებასაც.

კულტურის პროპაგანდის საინტერესო კერებად გვევლინებიან ბიჭვინთისა და გაგრის მუზეუმები. ამ მუზეუმებში მრავალი ათასი ადამიანი ეცნობა როგორც ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ასევე მხარის ისტორიას და მატერიალურ კულტურას. ვინაიდან ამჟამად მუზეუმ-ნაკრძალთა ქსელი გაფართოვდა — შეიქმნა 12 ასეთი მუზეუმი, თანაც საქართველოს ყველა რეგიონში, საჭიროა მათი გადაქცევა კულტურის მძლავრ კერებად.

უკანასკნელ წლებში შეუდარებლად გაძლიერდა ძეგლების დაცვის პროპაგანდა მასობრივი ინფორმაციის ხაზით. თითქმის ყოველ კვირას რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ვხვდებით საინტერესო წერილებს ძეგლთა დაცვა-პატრონობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ საქინფორმთან ერთად მომზადებულ ვრცელ მასალას ძეგლების წამბილწველების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ყველა ცენტრალურ რესპუბლიკურ გაზეთში, გამოეხმაურა საკავშირო პრესაც. ჟურნალმა „ჟურნალისტმა" და ლენინგრადის გაზეთმა „სმენამ" მოათავსეს გამოხმაურება ჩვენს მასალაზე რუბრიკით „სასარგებლო გამოცდილება".

სისტემატურად უთმობს დროს ძეგლების დაცვის საკითხებს საქართველოს რადიო. საქართველოს ტელევიზია უკვე მესამე წელიწადია, რაც ყოველთვიურად აწყობს გადაცემებს სპეციალური ციკლით — „დავიცვათ ეროვნული საუნჯე". ამას გარდა „მოამბეში" გადაიცემა ახალი ამბები ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ძეგლების პროპაგანდის საქმე ცუდად არ არის დაყენებული, მაგრამ ამ მხრივ საზოგადოების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ხარვეზი. მაგალითად, ბელორუსიაში ყოველწლიურად გაზაფხულზე საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებები აწყობენ კულტურის, რევოლუციური და შრომითი დიდების ძეგლების კეთილმოწყობის ერთთვიურებს, ეს მისაბაძი ღონისძიებაა. ფართოდ არის დანერგილი ძეგლების დათვალიერება, რომელშიც საზოგადოებასთან ერთად მონაწილეობენ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები, ეწყობა კონკურსები საუკეთესო პირველადი ორგანიზაციის, საუკეთესო საშეფო ორგანიზაციის გამოსავლენად. ალბათ მიზანშეწონილია მოეწყოს კონკურსები ბავშვებისათვის საუკეთესო ნახატისათვის, ძეგლების შესახებ საუკეთესო ნარკვევისათვის, საუკეთესო ფოტოსურათისათვის და სხვ. რესპუბლიკური საზოგადოების სათანადო სექტორებს მართებთ მეტი ინიციატივა და უნარი გამოიჩინონ.

უკვე 15 წელიწადია, რაც საზოგადოებრივ საწყისებზე გამოდის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კრებული „ძეგლის მეგობარი". წლების მანძილზე იგი პროპაგანდას უწევს ისტორიულ-რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი დიდების, მატერიალური კულტურის ძეგლებს. კრებული თავისი მეცნიერული და პოლიგრაფიული დონით მკითხველთა მოწონებას იმსახურებს. სამწუხაროდ, მისი ტირაჟი უკვე დიდი ხანია ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებამ გამოსცა არაერთი ბუკლეტი, გზამკვლევი, მონოგრაფია. დღეს ძეგლებისადმი ყურადღების გამახვილების ვითარებაში და კულტურული ტურიზმის არნახულ ზრდასთან დაკავშირებით მოთხოვნა ასეთ ლიტერატურაზე მეტად დიდია. მართლაც, ძეგლის დამთვალიერებლებს — ჩვენებურსა თუ უცხოელს, ებადება კანონიერი სურვილი შეიძინოს რაიმე სამახსოვრო ნანახი ძეგლის შესახებ. იგი იქიდან ხელცარიელი არ უნდა მიდიოდეს. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ მომზადებული და რედაქციებში ჩაბარებული გზამკვლევები და მცირე მონოგრაფიები წლების მანძილზე ხელუხლებლად აწყვია სტამბებში.

ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან შეიქმნა საწარმოო განყოფილება, რომლის მიზანია მაღალმხატვრული სუვენირებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების დამზადება. ეს საქმე ოდნავ შეფერხდა სათანადო ფართობების გამოყოფასთან დაკავშირებით, მაგრამ ამჟამად მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა, და მალე თბილისის ძველ უბნებში ამუშავდება სახელოსნოებიც და სუვენირების მაღაზიებიც.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება თავისი მოკრძალებული ბიუჯეტიდან წლების მანძილზე სახსრებს არ იშურებდა კულტურის ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოებისათვის. საზოგადოების სახსრებით აღდგენილია სვეტიცხოვლის კარიბჭე, ტაძრის ინტერიერი, მირიანისეული ეკლესია სამთავროში; გრემის კომპლექსი, ალავერდის კედლის მხატვრობა, ხობის, ქვათახევის ტაძრები, გუდარეხის ანსამბლი, ქვემოჭალის კომპლექსი, მრავალი ძეგლი სვანეთში. სარესტავრაციო სამუშაოები განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გაიზარდა. თუ წინათ საზოგადოება ძეგლთა რესტავრაციაზე გამოყოფდა წლიურად 50 ათასიდან 150 ათას მანეთამდე, 1977 წელს დაიხარჯა 335 ათასი მანეთი, 1978 წელს — 381 ათასი, 1979 წელს — 527 ათასი, ხოლო 1980 წელს — 600 ათასი მანეთი .ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ყველა დანარჩენ რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციის გარდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კულტურის ძეგლის შენახვის, დაცვის ძირითადი პირობაა მისი გამოყენება თანამედროვე მიზნებისათვის, მას უნდა მიენიჭოს აქტუალური შინაარსი — გახდეს კულტურის კერა. ცხადია, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს ძეგლის გამოყენების შესაფერისი ფორმები, ისე, რომ ძეგლი არავითარ შემთხვევაში არ დაზიანდეს, გამოყენების პრინციპები ყოველთვის უნდა დაექვემდებაროს ძეგლის დაცვის მოთხოვნილებებს. ამის მაგალითები უკვე ბევრი გვაქვს. თბილისის ისტორიული სახლები გამოიყენება საცხოვრებლად, პირველი სართულები — სახელოსნოებად და სავაჭრო რიგებად, იქ, სადაც შესაძლებელია, საკულტო ძეგლები გამოყენებული უნდა იყოს კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის. ამის მაგალითია წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გამოყენება ქართული ფოლკლორული თეატრისათვის, ძველი შენობის გამოყენება მარიონეტების თეატრისათვის თბილისში ბარათაშვილის ქუჩაზე, ლამისყანის სასახლე იქნება გამოყენებული მუზეუმად, ხოლო ლენინგორის ერისთავების სასახლე — ბიბლიოთეკად და მუსიკალურ სკოლად და ა. შ.

ჩვენს მოწოდებას — „არც ერთი ძეგლი — უპატრონოდ!“ — მრავალი

ეროვნული

ორგანიზაცია გამოეხმაურა. საზოგადოების პრეზიდიუმმა, საშეფო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით და მათთან საქმიანი და მუდმივი კონტაქტების გასაუმჯობესებლად, შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი. შეიქმნა საშეფო ორგანიზაციების წესდება, ჩამოყალიბდა მათი უფლება-მოვალეობანი, იდება ხელშეკრულება და გაიცემა საშეფო მოწმობა. საშეფო ორგანიზაციებს კონსულტაციებს უწევენ სპეციალისტი-რესტავრატორები. დიდი სიამოვნებით მინდა მოვიხსენიო ის საშეფო ორგანიზაციები, რომლებმაც განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს და საქმისადმი სიყვარულით მოქმედებენ. ასეთებია: კვების მრეწველობის სამინისტროს მართვის ავტომატიზებული სისტემების საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც შეფობას უწევს სამშვილდის ნაქალაქარს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის რაზმი „ალმაშენელი", რომელმაც უკვე მოამზადა სარესტავრაციოდ ტბისის კომპლექსი და წერაქვის ბაზილიკა, კიბერნეტიკის ინსტიტუტის და ლიტერატურისა და ხელოვნების არქივის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან ხერთვისის ციხეზე. მსუბუქი მრეწველობის დარგობრივი გამოთვლითი ცენტრის ახალგაზრდული ორგანიზაცია სასარგებლო მუშაობას ეწევა საგარეჯოს რაიონში კაწარეთის სამებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მეთვრამეტე პროფტექნიკური სასწავლებელი, რომელმაც მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა და კვლავ მუშაობს შიომღვიმის მონასტრის კომპლექსში.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს პრეზიდიუმთან არსებულ სტუდენტთა გაერთიანებას. სტუდენტები უკვე მესამე წელია წარმატებით მუშაობენ ქარელის, საგარეჯოს, ბოლნისის რაიონების ძეგლებზე, თბილისის ძველი უბნების რესტავრაციაზე.

უკანასკნელ პერიოდში ფართო პროპაგანდისტული მუშაობის გაშლის შედეგად და ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრი ღონისძიებების განხორციელების გამო საგრძნობლად შემცირდა მავანთა და მავანთა არაფრისმთქმელი წარწერები ძეგლებზე. ჩვენ აღარა გვაქვს ძეგლების შეგნებული დაზიანების არც ერთი შემთხვევა, არა გვაქვს ახალი წარწერებიც. ეს კი მეტად სასიხარულო ფაქტია. ჩვენმა სპეციალურმა სარესტავრაციო ლაბორატორიამ მოახერხა ასეთი წარწერებისაგან მთლიანად გაესუფთავებინა წუღრუღაშენის და საფარის ტაძრები. მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, აუცილებელია ყველა ძეგლზე წინანდელი წარწერების მოშლა და, გვჯერა, რომ ახალი წარწერები აღარ გაჩნდება.

როგორც ცნობილია, მიღებული კანონისა და დადგენილებების თანახმად, ძეგლების დაცვა, პირველყოვლისა, ევალება რაიონის, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს. მათ უნდა უზრუნველყონ ძეგლების მოვლაც და დაცვაც. დიდ ყურადღებას იჩენენ ძეგლებისადმი ტყიბულის, მახარაძის, ზესტაფონის, წალენჯიხის ,გურჯაანის, საგარეჯოს, ბორჯომის, კასპის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, წითელწყაროს, გეგეჭკორის, ცხაკაიას რაიონები. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით გარდაბნის, საჩხერის, ბოგდანოვკის, წალკის, ახმეტის, ქობულეთის, და ზოგიერთ სხვა რაიონებზე, სადაც ეს საკითხი ჯერ მოუგვარებელია.

განვლილ საანგარიშო პერიოდში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ განახორციელა მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი. საზოგადოება გაცილებით მრავალრიცხოვანია, მისი საქმიანობა გაცილებით მასშტაბური, გამიზნული და მრავალფეროვანია. და, რაც ყველაზე მთავარია, ძეგლთა დაცვის საქმე, რომელიც უწინ „ელიტურ" მოვლენას წარმოადგენდა და მხოლოდ ცალკეულ მეცნიერთა და ენთუზიასტთა ყურადღებას იმსახურებდა, დღეს საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. ეს ყოველივე შესაძლებელი გახდა იმ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შედეგად, რომლებიც მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. ეს იმ ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების შედეგია, რომელსაც იჩენენ ჩვენი ძეგლებისადმი პარტია და მთავრობა, მთელი ხალხი.

კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ორგანიზაცია, რომელიც ოც წელიწადზე მეტია არსებობს, წარმატებით იცავს ეროვნულ მემკვიდრეობას და ამასთანავე, უღვიძებს რა ადამიანებს წარსულის კულტურისადმი პასუხისმგებლობის, პატივისცემის გრძნობებს, ამით ემსახურება, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის საქმეს.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საზოგადოება კვლავაც უშურველად მოახმარს მთელ თავის ფიზიკურ და სულიერ ძალებს ჩვენი ხალხის, ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ წინსვლასა და გამარჯვებას.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI რესპუბლიკური ყრილობის რეზოლუცია

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობამ მოისმინა რა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ანგარიში 1975-1979 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლინების, შესწავლის, დაცვის, პოპულარიზაციისა და გამოყენების საქმეში.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში აქტიურად იბრძოდა საზოგადოების ინდივიდუალურ და იურიდიულ წევრთა ზრდისათვის, თავის რიგებში აერთიანებდა რესპუბლიკის მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების წევრთა რაოდენობამ 800 ათასს მიაღწია, საზოგადოების წევრთა რაოდენობა იზრდება არა მარტო რიცხობრივად, არამედ საბჭო იყენებდა რა პროპაგანდის სხვადასხვა ხერხებს, გაიზარდა საზოგადოების წევრთა აქტიურობა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების კეთილშობილურ საქმეში. ათობით პირველადი ორგანიზაცია მიმაგრებულია მნიშვნელოვან კულტურის ძეგლებზე და მათი საქმიანობა ხელს უწყობს ძეგლების დაცვისა და წარმოჩენის საქმეს.

განხორციელდა მთელი რიგი მასობრივი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებდა საზოგადოების წევრთა ასაკს, განათლებას, ინტერესებს, შესაძლებლობებს საზოგადოების საქმიანობაში მოზიდვის მიზნით.

საოლქო, საქალაქო და რაიონული, პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციების დახმარებით ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გასწია ახალციხის, ასპინძის, კასპის, გორის რაიონის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ჭიათურის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, საოლქო ორგანიზაციებმა, ქ. თბილისის თითქმის ყველა რაიონულმა საბჭომ .

საზოგადოების საქმიანობის უკეთ, მიზანსწრაფულად, მასშტაბურად წარმართვის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს უმაღლეს საბჭოს მიერ მიღებულმა კანონებმა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების შესახებ საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიღებულ დადგენილებას „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აგრეთვე საქ. სსრ კულტურის სამინისტროსთან სათანადო მთავარი სამმართველოს შექმნამ ,რომელმაც არსებობის არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დიდი და შრომატევადი სამუშაოები განახორციელა ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენების ,მეცნიერული აღრიცხ-

ვის, შესწავლის და სარესტავრაციო სამუშაოების გაშლა-გაფართოებისათვის.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა გააფართოვა რა საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების უფლება-მოვალეობანი, განამტკიცა მისი ფინანსიური ბაზა და აამაღლა პასუხისმგებლობაც.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელობითა და აქტიური მხარდაჭერით, მნიშვნელოვნად გააფართოვა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ყოველწლიურად მარტო ძეგლების რესტავრაციისათვის გამოყოფს 500 ათას მანეთს, ამაღლდა სამუშაოების ხარისხიც.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახსრებით შეკეთდა რამოდენიმე ათეული ძეგლი, რომლებზეც მიმაგრებულია საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც ზრუნავენ ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და მისი პრეზიდიუმი სისტემატურად ეწეოდა კულტურის ძეგლების დაცვის პროპაგანდას. სხვადასხვა უწყებებთან და დაწესებულებებთან ერთად ეწყობოდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ზონალური ღონისძიებები, გასვლითი სესიები, ლექცია-მოხსენებები და სხვა. გამოიცა პლაკატები, ბუკლეტები, სამკერდე ნიშნები, სამეცნიერო შრომები, მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობს კრებული „ძეგლის მეგობარი", ეწყობა ტელე და რადიო გადაცემები.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი საექსპოზიციო სამუშაოები განხორციელდა ბიჭვინთის, გრემის და გაგრის ძეგლ-მუზეუმებში, რომლებიც ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდის კერებად იქცნენ.

მეტი ყურადღება მიექცა ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ამსახველი ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის საქმეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, საზოგადოების მთელ რიგ ორგანიზაციების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები, რიგ რაიონებში ადგილი აქვს ძეგლებისადმი უდიერი, გულგრილი დამოკიდებულების ფაქტებს, მათი მიზანშეუწონლად გამოყენებისა და დაზიანების შემთხვევებს.

მთელი რიგი პირველადი ორგანიზაციების მუშაობაში შეინიშნება ფორმალიზმი, დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილი მიდგომა, ჯერ კიდევ არის სერიოზული სიძნელეები საგამომცემლო საქმეში, კრებულ „ძეგლის მეგობრის" ტირაჟი ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა 50%-საც კი.

გაუმჯობესებას მოითხოვს ორგანიზაციული საკითხებიც.

გამომდინარეობს რა ზემოთ აღნიშნულიდან, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

2. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების, რაიონულ, საქალაქო და საოლქო საბჭოებს იბრძოლონ ინტელექტუალურ წევრთა ზრდისათვის, თავის რიგებში გააერთიანონ რესპუბლიკის მოსახლეობის ყველაზე აქტიური წევრები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ამოცანების გადაჭრაში.

საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა ენთუზიასტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების საქმიანობაში, ქართული კულტურის მფარველობის, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები გამოყენებული უნდა იქნას ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის პატრიოტული, ესთეტიკური და ინტერნაციონალური გრძნობით აღზრდისათვის.

საზოგადოების პირველადმა, რაიონულმა, საქალაქო და საოლქო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ძეგლების გამოვლინების, აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს, რათა მზრუნველი ხელის გარეშე არ დარჩეს ქართული მატერიალური კულტურის არცერთი ძეგლი.

3. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს და მის პრეზიდიუმს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას, აღდგენა-გამაგრებას და მეცნიერულ შესწავლას, გეგმაზომიერად ეწყობოდეს სათანადო სამეცნიერო ორგანიზაციებთან ერთად ნაკლებად ცნობილი და შეუსწავლელი მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლინება, შესწავლა და ფიქსაცია.

მეტი საზოგადოებრივი კონტროლი დაწესდეს იმ ორგანიზაციებზე, რომელთაც სამსახურებრივად რაიმე კავშირი აქვთ მატერიალურ კულტურის ძეგლებთან, ხდებოდეს მატერიალური კულტურის ძეგლების მიზანშეწონილი გამოყენება, აქტიურად ამხელდნენ მათდამი უდიერ დამოკიდებულებას.

მეტი ყურადღება მიექცეს მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების შესრულების ხარისხს და მეცნიერულ დონეს;

4. დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს სისტემატურად ეწეოდეს კულტურის ძეგლების დაცვის პროპაგანდას, გამოსცეს მეცნიერული და სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა, ფოტო ილუსტრირებული ალბომები, პლაკატები და ღია ბარათები, იბრძოლოს საზოგადოების კრებულ „ძეგლის მეგობრის" ტირაჟის გაზრდისა და მისი მატერიალური და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, მოაწყოს გამოფენები ძეგლებზე, ჩაატაროს ლექციები, კონფერენციები, საზოგადოების აქტივისტებისათვის ტარდებოდეს სემინარები, ადგილობრივი მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ ეწყობოდეს კონკურსი მოწინავე პირველადი ორგანიზაციების გამოვლინების მიზნით;

5. საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა ავალებს რესპუბლიკურ საბჭოს და მის პრეზიდიუმს აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ მატერიალურ კულტურის ძეგლების შერჩევაში, რომელზეც უნ-

და ტარდებოდეს აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები, დაწესდეს მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი აღნიშნულ სამუშაოებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს და მის სარევიზიო კომისიას გააუმჯობესონ მუშაობა რაიონულ, საოლქო და საქალაქო სარევიზიო კომისიებთან, რათა ისინი ნამდვილად ანხორციელებდნენ კონტროლს საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ფინანსურ საქმიანობაზე.

7. ეწყობოდეს კონკურსები ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების პროპაგანდისა და მოვლა-პატრონობის ამაღლებისათვის. აქტივისტებისა და სპეციალისტებისათვის გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის პერიოდულად აწყობდეს მივლინებებს სსრკ მოკავშირე და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში.

8. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობა იწონებს ცვლილებებს საზოგადოების წესდებაში:

ა) საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას ამიერიდან ეწოდოს „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება".

ბ) წესდების 13 მუხლი იკითხებოდეს შემდეგნაირად; „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადების წევრად მიღება ხდება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ან მისი საბჭოს მიერ",

გ) დამტკიცდეს ცვლილებები IV ნაწილში, რომელიც შემდეგნაირად იკითხებოდეს:

**საზოგადოების სახსრები:**

33. საზოგადოების სახსრები, რომლებიც საჭიროა საორგანიზაციო, სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის, საშტატო ერთეულების შენახვის, ძეგლების აღდგენა-გამაგრებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისათვის შედგება:

ა) ყოველწლიური საწევრო შესატანისაგან;

ბ) ძეგლებზე ცნობარების, მეგზურების, სუვენირების, სამახსოვროების და სხვა სახის გამოცემებიდან მიღებული შემოსავლისაგან, წარმოებიდან შემოსული მოგებისაგან;

გ) ინდივიდუალური პირების შესატანისაგან რომლებიც ყოველწლიურად ძეგლების შესაკეთებლად საზოგადოების ანგარიშზე შეიტანენ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს წარმოება-დაწესებულებებისაგან, მეურნეობებისაგან, ორგანიზაციებისაგან შემოწირული თანხებისაგან.

34. საზოგადოების შესატანები დაწესებულია ინდივიდუალურ წევრთათვის შესასვლელი შესატანი 30 კაპ., საწევრო — 60 კაპ. წელიწადში; მოსწავლეთათვის შესასვლელი შესატანი 10 კაპ., საწევრო—20 კაპ. წელიწადში.

საწევრო შესატანი კოლექტიური (იურიდიულ) წევრთათვის ათი მანეთიდან ზევით.



კ. მარქსის სახ. სქძ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოების წევრებს საწევრო შესატანი შეაქვთ წელიწადში ერთხელ, შესატანი იფარება მარკებით.

35. საწევრო შესატანები შეტანილ უნდა იქნას რაიონულ ან საქალაქო საბჭოს ანგარიშზე, მაგრამ შეგროვილი თანხის 20% ეკუთვნის საზოგადოების სათანადო პირველად ორგანიზაციებს. რაიონული და საქალაქო საბჭოები მთლიანი შემოსავლის 50%-ს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს;

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოები, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დარჩენილი თანხის 80%-ს ურიცხავენ სათანადო საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ საბჭოებს, საქალაქო და საოლქო საბჭოები კი მათ ანგარიშზე შემოსული თანხის 50%-ს ურიცხავენ საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

36. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდში ანარიცხების ოდენობის ჩარიცხვის წესს და სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვას განსაზღვრავს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი.

37. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ქმნის შემდეგ ფონდებს:

ა) ძირითად ფონდს;

ბ) სარეზერვო ფონდს;

გ) სპეციალურ ფონდს;

დ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდს;

ე) საპრემიო და დაჯილდოვების ფონდს;

ვ) დახმარების ფონდს;

ზ) შემოწირულების ფონდს;

38. ძირითადი ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების, დაწესებულებების და საწარმოების სრულყოფისა და გაფართოებისათვის.

39. სარეზერვო ფონდის დანიშნულებაა საზოგადოების საქმიანობის შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა. აღნიშნულ ფონდს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

40. სპეციალური ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის, როგორც სესხის მისაცემად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ფინანსიური დახმარების აღმოსაჩენად (კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, ძეგლების აღდგენა-შეკეთებაზე, ახალი საწარმოების დაარსებაზე და სხვა).

41 .კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდი გამოიყენება წევრებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოების განკარგულებაში არსებული შეღავათების აღმოსაჩენად.

42. საპრემიო და დაჯილდოების ფონდი გამოიყენება სამუშაო გეგმის შესრულებისას თანამშრომლებისათვის პრემიების გასაცემად, აქტიურად მომუშავე წევრებისა და მუშაობაში წარჩინებულთა დასაჯილდოებლად.

43. დახმარების ფონდი გამიზნულია საზოგადოების წევრთა და თანამშრომელთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისა და სტიმულირებისათვის, საკურორტო მკურნალობისა და დასვენების, შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

44. შემოწირულობის ფონდი შედგება ინდივიდუალური პირების, წარმოება-დაწესებულებების, მეურნეობებისა და ორგანიზაციებისაგან შემოწირული თანხებისაგან, რომელიც ხმარდება ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრებისა და პროპაგანდის საქმეს.

45. ფონდების ოდენობას და რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი.

დაევალოს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს და მის პრეზიდიუმს მტკიცედ დაიცვას საბჭოს და პრეზიდიუმის მოწვევის ვადები;

ამ ღონისძიებების შესრულების შემოწმება ხდებოდეს პერიოდულად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი

**აბაშიძე ირაკლი ბესარიონის ძე** — პოეტი-აკადემიკოსი

**ალექსიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე** — პროფესორი.

**ბერიძე ვახტანგ ვუკოლის ძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

**ბუხნიკაშვილი კარლო გრიგოლის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კულტურის განყოფილების გამგე

**ზაქარიაშვილი ირაკლი დავითის ძე** — საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლული მდივანი

**ზაქარაია პარმენ ფარნაოზის ძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი

**თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის ძე** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი

**კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

**კოჩიევი ალსარ ომარის ძე** — ძეგლთა დაცვის სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე

**ლორთქიფანიძე ვაჟა გიორგის ძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

**ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

**ლორთქიფანიძე მარიამ დავითის ასული** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი

**მაღრაძე ელგუჯა სამუელის ძე** — საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარე.

**მატარაძე ლევან ნიკოლოზის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი.

**პაპალაშვილი გივი ვლადიმერის ძე** — საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

**რჩეულიშვილი ლევან დიმიტრის ძე** — თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი

**სანებლიძე ოთარ ვლადიმერის ძე** — საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

**ტაკიძე არჩილ მარჯანის ძე** — ძეგლთა დაცვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე.

**ფოფხაძე ნუგზარ აკაკის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

**ფერაძე თენგიზ გიორგის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

**ცინცაძე ვახტანგ გერონტის ძე** — ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი

**ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე** — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს უფროსი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, პროფესორი

**შაკაია შოთა მამას ძე** — ძეგლთა დაცვის აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე

**ჩერქეზია ოთარ ევტიხის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ჭილაშვილი ლევან ალექსანდრეს ძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად ს.

ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი

**ჭილაძე თამაზ ივანეს ძე** — მწერალი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯანბერიძე ნოდარ შალვას ძე** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე, პროფესორი.

**ჯაფარიძე ოთარ მიხეილის ძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

**ჯოხთაბერიძე გობრონ ანდრონიკეს ძე** — ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

## სარევიზიო კომისია

**ელიავა გივი ვლადიმერის ძე** — საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გეგეჭკორის რაისაბჭოს თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

**კანდელაკი ბორის ილიას ძე** — საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, კომისიის მდივანი

**კიკნაძე პავლე ვიქტორის ძე** — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე

**მუსხელიშვილი დავით ლევანის ძე** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**რობაქიძე ალექსი გიორგის ძე** — **პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე**

**შაიშმელაშვილი ივანე დიმიტრის ძე** — თადარიგის გენერალ-მაიორი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

**ჯავახიშვილი ანდრო ლევანის ძე** — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი



ჭაშლეთის მაცხოვრის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.

Церковь «Спасителя» из сел. Чашлети. Вид с юго - запада.

იოსებ ბანძელაძე

## რელიეფები ჭაშლეთის ეკლესიიდან

რელიეფური ფილები, რომელთაც ეს წერილი ეხება, მიკვლეულ იქნა ლეჩხუმში, 1979 წლის შემოდგომაზე, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ[1].

ლეჩხუმის ექსპედიცია მიზნად ისახავდა ამ რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლების აღრიცხვა-ფიქსაციას და დაცვითი რეკომენდაციების შემუშავებას .მრავალ, მეტნაკლებად დაზიანებულ ძეგლთან ერთად ვინახულეთ ს. ჭაშლეთის „მაცხოვრის" ეკლესიაც.

ეკლესია სოფლის ქვემო ნაწილში, ღრმა ხევის პირას დგას. წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობას. ნაშენია შირიმისა და ქვიშაქვის რამდენადმე მოწესრიგებული წყობით. მისი გეგმა სწორკუთხედშია ჩაწერილი. საკურთხევლის ნახევარწრიული აბსიდი თითქმის არ გამოიყოფა კვადრატული ფორმის დარბაზისაგან. აბსიდის კედლის ორივე მხარეს თახჩებია მოწყობილი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს, — სამხრეთიდან და დასავლეთიდან. სარკმელი თითოა: აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით.



ჭაშლეთი. საკურთხევლის აფსიდი.

Чашлети. Алтарная апсида.

ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. ჩაქცეულია გადახურვა. გამონგრეულია აღმოსავლეთის სარკმლის ღიობი, აბსიდის სამხრეთის თახჩა და ჩრდილოეთის კედლის ნაწილი.

ეკლესიას მორთულობა არ გააჩნია. მხოლოდ შესასვლელთა თავზე წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი ჯვრებია გამოსახული, რომელთა ნახატი და მშრალი კვეთა კედლების წყობის ხასიათსა და საერთო აგებულებასთან ერთად ეკლესიას სავარაუდოდ XIV ს. ათარიღებს.

ეკლესიაში შესვლისთანავე ჩვენი ყურადღება მიიპყრო აბსიდის კედლის წყობაში, სარკმლის მარცხენა მხარეს, მოთეთრო-მოყვითალო ფერის ქვაზე გამოკვეთილმა წმინდანის რელიეფურმა გამოსახულებამ. აქვე საკურთხევლის სამხრეთის თახჩაში, სხვადასხვა საეკლესიო ინვენტართან და იკონოსტასის ფრაგმენტებთან ერთად, აღმოჩნდა მართკუთხა ქვის ფილებზე კვეთილი სამი მსგავსი რელიეფი. საკურთხევლის კედელში დარჩენილი ბუდეები მიგვანიშნებენ ამ ფილების ადგილს: სარკმლის აქეთ-იქით, ჩადგმული იყო ორ-ორი ფილა. კედელში დაცულ ფილას უკიდურესი მარცხენა ადგილი აქვს დათმობილი.

ფილები მეტნაკლებად არის დაზიანებული. კედელში ჩადგმულ რელიეფს სახის ნაკვთები თითქმის მთლიანად წაშლილი აქვს. გარდა ამისა ჩამოშლილი აქვს შარავანდედის ზედა ნაწილი. სამ ფილათაგან, რომლებიც თახჩაში იყო, ერთს ყველაზე უკეთესად დაცულს, მხოლოდ ზედა მარცხენა კუთხე აქვს ჩამოტეხილი. მისი რელიეფი თითქმის დაუზიანებლადაა მოღწეული ჩვენამდე. ამ ფილის ზომებია 55×34 სმ. სისქე 5 სმ. მეორე ფილაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭაშლეთი. წმინდა მათეს გამოსახულება. Чашлети. Изображение св. Мате.

მხოლოდ თავი და მხრებია დარჩენილი. ამ რელიეფის სახე აგრეთვე კარგადაა შემონახული. მესამე რელიეფის ზედაპირი თითქმის მთლიანად ჩამორეცხილია. დარჩენილია ფიგურის მხოლოდ კონტური და შარავანდედის კვეთილობის ნაწილი.

ფილებს ახლავს მსხვილი, ლამაზი ასომთავრულით შესრულებული წარწერები. ყველაზე კარგად შენახული ფილის მარჯვენა მხარეს იკითხება — **მრკზ ანუ მარკოზ. ასოები ვერტიკალურადაა განლაგებული. მა**რცხენა კუთხეში უნდა ყოფილიყო ჩა — ანუ წმინდა. ეს ასოები ფილის დაზიანებამ იმსხვერპლა. მეორე ფილაზე, რომლის რელიეფი თითქმის აღარ ჩანს, წარწერა შედარებით კარგად შემოინახა და იკითხება ასე: მარცხნივ ჩა — წმინდა, მარჯვნივ — ივნე, ე. ი. იოვანე, კედელში ჩამაგრებულ ფილაზე, მარჯვენა მხარეს, შუა ნაწილში, ძნელად მაგრამ მაინც იკითხება ასო — ა და აქ შეიძლება აღსდგეს სახელი მათე, ხოლო მეოთხე ფილაზე, რომლის წარწერა სრულიად გადარეცხილია, მახარებელი ლუკას სახელი უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

ამრიგად ჩვენ გვაქვს ოთხი მახარებლის გამოსახულება, თავდაპირველად როგორც ჩანს ერთნაირი ზომის ფილებზე მოცემული.

სრულიად ინდენტურია გამოსახულებათა შესრულება. გლუვ ფონზე ამოკვეთილი წელს ზევითა ფიგურები ფილის თითქმის მთელ არეს ავსებენ. შარავანდედის აქეთ-იქით დარჩენილ ადგილებში, როგორც აღვნიშნეთ, წარწერებია ამოკვეთილი. საერთოა ფიგურების კვეთილობის თავისებურება-



ჩაშლეთი. რელიეფური ფილები მახარებელთა გამოსახულებით.

Чашлети. Рельефные плиты с изображениями евангелистов.

ნი, ნახატი და დეტალები, რაც გვაფიქრებინებს რომ რელიეფები ერთი ოსტატის შემოქმედების ნაყოფს უხდა წარმოადგენდეს.

რელიეფების საერთო კომპოზიცია ლაკონიურია. მახარებლების პოზა მშვიდია ,გულზე მიბჯენილი სახარება სამოსის ნაკეცებით დაფარულ, მარცხენა ხელში უპყრიათ. წიგნზე მართკუთხა ჩარჩოში კვეთილი ოთხყურა, თანასწორმკლავებიანი ჯვარია გამოსახული. მარკოზის მარჯვენა ხელი მოკეცილია და ორი თითი წიგნზეა დადებული. განსხვავებით მათეს მარჯვენა ოდნავ ზეაღმართულია.

რელიეფებში თავების მოცულობა სხეულთან შედარებით უფრო მკვეთრად არის გამოყოფილი. მოკლე თმები და გრძელი წვერულვაში ხაზებით დაღარულ ცალკე მომრგვალებულ მასებათაა მოცემული. წვერი შედარებით დაბალი, ხოლო თმები უფრო მაღალი მოცულობითი ფორმით. შარავანდედი კოვზისებური მოტივითაა შემკული.

დღემდე მოღწეული ორივე სახე — მარკოზისა და ლუკასი, ერთნაირადაა შესრულებული[2]. ცხვირი სწორია მაღალი ქედით, რომლის ხაზი წარბების ზედა რკალების მოხაზულობაში გადადის. ცალკეა გამოყოფილი თვალის მომრგვალება, რომლის შუაგულში ჩაღრმავებული წერტილის სახით გუგაა აღნიშნული. ლოყები ოდნავ მომრგვალებულია. ტუჩები ვიწროა და თხელი. ზომიერად ზეაწეული წარბები გამოსახულებას მშვიდ და შთაგონებულ იერს ანიჭებს.

მახარებელთა სხეულის რელიეფი ქვემოდან ზემოთკენ შეუმჩნევლად ამოდის ფონის სიბრტყიდან. მხრები მკვეთრადაა ამოზიდული. შარავანდედი ოდნავ ჩაწეულია, რაც მოცულობას მატებს თავის გამოსახულებას და რელიეფის კვეთილობის მესამე სიბრტყეს ქმნის, ხოლო მეოთხე თვით ფონია. მახარებელთა სხეული ბრტყელია და გრაფიკული ხერხითაა გადმოცე-

მული. ხელები და წიგნი სრულიად არაა ამოზიდული რელიეფის მახიდან. ხაზთა პარალელური დინებით დაფარული სამოსის ზედაპირი დეკორატიულ, ხაზობრივ რიტმს ემორჩილება. მაგრამ ამასთანავე ნაოჭებს გარკვეული სირბილე და დინამიურობა ახასიათებს, ხაზთა მიმართულებაში სხეულის მთავარი ნაწილების, ხელების მოძრაობაა ასახული.

რელიეფების შესრულებაში გამოვლენილი სტილისტიკური ნიშნები: ცხოველხატული შარავანდედის ფონიდან მოცულობითი ფორმით ამოზიდული თავის და მისი დამუშავების ხასიათი, მთელი რელიეფის გადაწყვეტა რამოდენიმე სიბრტყეში — განსაკუთრებით თავის დაპირისპირება ფიგურასთან, სამოსის რბილი ნაოჭების ერთმანეთზე დაშრევით გადმოცემა ცხადყოფს, — რომ ოსტატი ცდილობს რელიეფის მოცულობითი ფორმით გადმოცემას, მაგრამ პლასტიკურობის შეგრძნება მასში ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. მსგავსი მომენტები ასახულია X ს. მეორე ნახევრის და XI ს. დასაწყისის ქართულ ოქრომჭედლობაში.

აკად. გ. ჩუბინაშვილის ნაშრომში, „ქართული ოქრომჭედლობა“, ვკითხულობთ „X საუკუნის საქართველოში ისახება ნამდვილ სკულპტურულ გადაწყვეტათა ძიების პროცესი“ და ქვემოთ“... ქართული ჭედურობის სკულპტურული განვითარების შემდეგი, მკაფიოდ გამოკვეთილი, ეტაპი ხასიათდება ფიგურების ერთიანი მოცულობის გაძლიერებით; ოსტატი აღარ ზრდის სხეულის ამა თუ იმ ნაწილის ზომებს ემოციური გამომსახველობის მისაღწევად; მას აინტერესებს ფიგურების შეძლებისდაგვარად მკაფიო, ხაზგასმული მოცულობრიობა. იგი ფიგურებს ანიჭებს დაუნაწევრებელი მოცულობის სახეს, მხოლოდ ძირითად მოცულობითს ფორმებს აღნიშნავს. იგი ფიგურის ბლოკს აკეთებს“ და შემდეგ „... XI ს. შუა წლებში ოსტატები აღწევენ მთელ ფიგურის სრულ დეტალებშიაც დამუშავებულ პლასტიკურობას, ფორმათა და მოძრაობის ელასტიკურობას და სხვ“[3].

ეტაპობრივი განვითარების მსგავსი სურათია ასახული ქვის სკულპტურაში, როგორც ჩანს გამოსახულების პლასტიკურად ათვისების პრობლემა ამ ეპოქის წამყვან ტენდეციას წარმოადგენს[4].

უნდა ვიფიქროთ რომ ჭაშლეთის რელიეფები თავის ადგილს პოულობენ X ს ბოლოსა და XI დასაწყისში.

წარწერების ასონიშანთა მონაცემები ტყუპწვეტოვანი ნიშნებით, მკვეთრი და ლალი მონახაზით და პროპორციული აგებულებით, ამავე პერიოდისათვის მიღებული პალეოგრაფიული ნიშნებით ხასიათდებიან[5]:

როგორც უკვე აღინიშნა, ჭაშლეთის ეკლესია სავარაუდოდ XIV ს ძეგლს უნდა წარმოადგენდეს. საიდან მოხვდნენ რელიეფები აქ ვერ დავადგინეთ. ერთი რამ კი საფიქრებელია, რელიეფები არ უნდა იყოს განკუთვნილი კედლის წყობაში ჩამაგრებისათვის. ფილების ზურგის სიბრტყეს წვრილი ვერტიკალური ხაზები გასდევს და სუფთადაა თლილი, კედლიდან ჩამოვარდნის მიზეზიც ალბათ ესაა. აღნიშნული მომენტი უფლებას გვაძლევს, რომ რელიეფები ხატებად მივიჩნიოთ. ქვაზე კვეთილი ხატის საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს წმ. გიორგის მარმარილოს ქანდაკება სოფ. ვანიდან[6]. ერთ დროს ეს ხატიც არათანადროული ეკლესიის კედელში ყოფილა ჩასმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



წმ. ლუკა. Св. Лука.

ლი[7]. რელიეფის მნიშვნელოვანი თავისებურება ვლინდება მის სრულ მოცულობასა და ხაზობრივი გადმოცემის უარყოფაში[8]. ძეგლი XI ს შუა წლებითაა დათარიღებული, მაგრამ შესრულებულია XI ს პირველი ნახევრის ჭედური ლითონის ხატის ნიმუშების მიხედვით[8]. ამ მოსაზრებას ბადებს ხატის საერთო ზომები, კომპოზიციური გადაწყვეტა, ფიგურის დგომა, ქვედა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წმ. მარკოზი. Св. Маркоз.

არეზე ამოკვეთილი წარწერა და რაც მთავარია ორნამენტირებული ჩარჩო რომლის გარეშეც ჭედური ხატი არ იქმნება.

ჭაშლეთის რელიეფებს ჩარჩო არ ახლავთ. შესაძლოა თავის დროზე ჰქონდათ ხის ჩარჩო ან კანკელის რომელიღაც ნაწილში ყოფილიყვნენ ჩამაგრებული, მაგრამ ამის მტკიცება დღეს ძნელია, რადგანაც ანალოგიური მაგალითი ჯერჯერობით არ დადასტურებულა.

თავისებურება, რომელიც რამდენადმე აკავშირებს რელიეფებს ჭედური ხელოვნების ნაწარმოებებთან — ჭედურ ხატებთან, ვლინდება ფილების ზომებში. ზუსტად იგივე ზომისაა ვერცხლის მოოქრული ხატი—ლაგურკას წმ. კვირიკე გვერულისა[9] ჩარჩოს გარეშე, უფრო ზუსტად ჩარჩოს შიდა კონტურით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ორი განზომილება 34 და 55 ოქროს კვეთის პროპორციის რიცხვებს წარმოადგენენ $\frac{55+34}{55}=\frac{55}{34}=1,618$

აქ ან უბრალო დამთხვევაა ან კანონზომიერი ურთიერთკავშირი. ასეა თუ ისე ორივე შემთხვევაში, ჭაშლეთის რელიეფებშიც და ლაგურკას ხატშიც ოსტატები ავლენენ პროპორციული დამოკიდებულების ღრმა შეგრძნე-

ბას, თუ რა თქმა უნდა წინდაწინ შემეცნებული წესით არ ხელმძღვანე-ლობენ.

მახარებლების გამოსახულება ჩვეულებრივი მოვლენაა კედლის მხატვრობასა და ხელნაწერთა მინიატურებშიც. რაც შეეხება ჭაშლეთის რე-ლიეფებს, თუ ჩვენი მოსაზრება მცდარი არაა, შეიძლება ითქვას, რომ აქ მახარებლები ქვაზე კვეთილი ხატების უნიკალურ შემთხვევად გვევლინება.

---

1 ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: პროფ. რ. მეფისაშვილი (ხელმძღვანელი) მ. სურამელა-შვილი, ხ. ჭურღულია, თ. გაბუნია, ი. ბანძელაძე.

2 ეს ორი რელიეფი ჩამოვიტანეთ თბილისში, ამჟამად ინახება ძეგლთა დაცვის მთავარ სამ-მართველოში, განზრახულია დარჩენილი ფილების ჩამოტანა, ხოლო ადგილზე ასლების დაბ-რუნება.

3 გ. ნ. ჩუბინაშვილი „ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა", თბილისი, 1957, გვ. 6.

4. ნ. ალადაშვილი „ნიკორწმინდის რელიეფები", თბილისი, 1957, გვ. 57.

5 Рене Шмерлинг. «Древний Цвимоэтский храм, близ сел. Хедиси». Ars Georgica TV. Тбилиси.

6. ამჟამად ძეგლი დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში.

7 Е. С. Такаишвили. «Церковь в Ваке, в Имеретии и ее древности». Известия Кавказского историко-археологического института, т. II. стр. 88-89.

8. რ. შმერლინგი „მარმარილოს ქანდაკება სოფ. ვანიდან", მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIIII, № 2.

9 «Изображение святого Квирике в грузинской чеканке». Лит. Разыскания ин-та истории грузинской литературы АН Груз. ССР. 1944, стр. 97-126. (ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, თბილისი, 1945, გვ. 97-126.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტვილი. სვეტი. რესტავრაციამდე. ავტორის ფოტო.

Мартвили. Столп. До реставрации. (фото автора).

ვახტანგ ცინცაძე

## მარტვილის „სვეტი“

(ძეგლზე ჩატარებული მეცნიერული დაცვის სამუშაოები)

მარტვილის სამონასტრო პლატოს კიდეზე კოშკად ამართულ ნაგებობის — „სვეტის“ — ფუნქციონალური დანიშნულების სურათი დღესაც ცოცხალია ხალხში. ადგილობრივი მასწავლებელი ნიკოლოზ ოსიძე იხსენებდა, რომ ამ კოშკზე მესვეტე ცხოვრობდა: ის „არც ხალხს ეკარებოდა და არც არავინ ადიოდა მასთან... საჭმელს კალათით აწვდიდენო“. ანალოგიურ ცნობას უფრო ადრე უცხოელი მოგზაური დიუბუაც გვაწვდის, მას 1839 წ. მარტვილში (რაიონული ცენტრი გეგეჭკორი) მესვეტე უნახავს, რომელიც მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით ამართულ, ოთხკუთხა გეგმის მქონე კოშკში ცხოვრობდა.

აქ ურიგო არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოში მესვეტეობა ადრიდანვე იყო შემოტანილი ე. წ. სირიელ მამათგან, რომლებიც V-VI სს. მოღვაწეობდნენ ჩვენში. პირველად მესვეტეობა შემოიღო კილიკიელ სიმეონმა 423 წელს. იგი ავიდა სვეტის ფორმის კლდეზედ და იქ დაჰყო მთელი თავისი სიცოცხლე[1]. სიმეონს ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. თეოდორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირელის ცნობით, ქართველებს განუწყვეტელი და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სიმეონთან[2].

საქართველოში იმ ადრეულ პერიოდში მესვეტეობის გავრცელების ფაქტი მტკიცდება კაცხის სვეტით, რომელიც სვეტად ამართულ კლდეს წარმოადგენს, სიმეონის სახელს ატარებს და პირველად V-VI სს-ში სვეტად იყო გამოყენებული[3]. სიმეონის მოძღვრებამ საქართველოში ღრმა კვალი დატოვა და მის გამოძახილს შემდეგშიაც ვხვდებით. ის რამდენიმე ნიმუში, რომელიც საქართველოში „სვეტის" სახელწოდებით არის ცნობილი, განვითარებულ შუა საუკუნეების ხანას მიეკუთვნება. მარტვილისა და უბისის სვეტი, როგორც ჩანს ამ ახალი დროის მესვეტეთა მიერ განმარტოებით საცხოვრებლად იყო განკუთვნილი და არა მესვეტეთა თვითწამებისათვის, რის გამოც ამ ნაგებობათა ხუროთმოძღვრებაში სხვა ეპოქისათვის შესაფერი მოთხოვნილებებია გამოხატული.

1. მარტვილის ნაგებობა — სვეტი — ჩვენი საუკუნის დამდეგს შუაზე იყო გამსკდარი. 1922 წლის სექტემბერში კი მთელ ორგანიზმს სამხრეთის ნახევარი მოსცილდა და ფერდობზე გადავარდა. დროთა განმავლობაში დანგრეული ნაწილი სრულებით გაქრა. ამგვარად სვეტიდან დღეს მხოლოდ ჩრდილოეთის ნახევარია შემორჩენილი.

ფოტოსურათზე, რომელიც 1913 წელს არის გადაღებული, ირკვევა, რომ აღმოსავლეთის ფასადი თავდაპირველად კედლის ზედაპირიდან ჩაღრმავებულ ხუთმალიანი თაღნარით იყო მორთული. როგორც შემორჩენილი ნაწილის შესწავლით ვრწმუნდებით, დანარჩენ სამ ფასადზე ასევე თაღნარი იყო გამართული. აღნიშნულ ფოტოსურათზე ერთდროს დაზიანებული ნაგებობა უკვე აღდგენილი სახითაა წარმოდგენილი. აღდგენის დროს არ უფიქრიათ ძეგლის მხატვრული სახის დაბრუნებაზე. დაზიანების შედეგად ჩამოცვენილი წყობის ქვები და დეკორის ფრაგმენტები შემთხვევით ადგილებზეა დაწყობილი.

ფოტოზე ყურადღებას იპყრობს რთული ორიგინალური გადაწყვეტის კარნიზი, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე მაშინ ადგილზევე ყოფილა მოთავსებული. აღმოსავლეთის ფასადის ცენტრში გადაწყობილ საპირე ქვებს შორის მოთავსებული იყო წელზედა ფიგურის სკულპტურული გამოსახულება (მესვეტე). დღეს ეს გამოსახულება დაკარგულია.

2. კვადრატული გეგმის თლილი ქვით ნაგები კოშკური ნაგებობა გარედან ორად არის დანაწევრებული: ქვედა, მაღალი, აზიდული პროპორციის, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კამარით გახსნილი ნაწილი, აგებულია ტლანქად ნათალი ყვითელი ქვით, ზედა დამჯდარი პროპორციის მქონე, სუფთად ნათალი მოთეთრო წმინდა შემადგენლობის კირქვის კვადრებით არის მოპირკეთებული. ამ ნაწილების მკვეთრად დაპირისპირებული პროპორციულობა და ფერადოვნება გამახვილებულია მხატვრულ-დეკორატიული გადაწყვეტით: რამდენადაც კოშკის ქვედა ნაწილი სადაა, იმდენად მდიდრულადაა დეკორირებული ზედა კოშკის ზედა ნაწილი. რაც მთავარია, ის მაღლაა ატყორცნილი და პატიოსანი ქვებით მორთულ გვირგვინის მსგავსად ადგას ქვედას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტვილი. სვეტის აღმოსავლეთ თახადი. ფოტო 1913 წ.

Мартвили. Столп. Фото 1913-го года.

შენობა, შინაგანი დაყოფის მიხედვით სამი ნაწილისაგან შედგება: პოსტამენტი, მესვეტის საკანი და ეკლესია. მაგრამ ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, როგორც ეს მკვეთრადაა მოცემული გარეთა ასახულობაში, ის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის მქონე ნაწილისაგან წარმოსდგება. მესვეტის მიწიდან ამაღლებულ გარემოს მოწყვეტილი საცხოვრებელი სართული და მასზე როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრულად, გაბატონებული ზედა სართული — ეკლესიაა.

სვეტიდან დარჩენილი ჩრდილოეთის ნახევრის ქვედა ნაწილი თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. ის შესატყვის ახლა აღარ არსებულ ნაწილთან ტლანქად დამუშავებული სწორკუთხა ფორმის მცირე ზომის ქვებით ამოყვანილ კამარით ყოფილა დაკავშირებული. კამარის დამჭერი თაღების წირთხლები გაფორმებულია პილასტრებით, რომელთა თავები მარტივი პროფილისაა, მოხდენილი მოყვანილობის იმპოსტებით, პილასტრები ბოლომდე არ ჩადის და სიმძლავრის ამსახველ მომრგვალებული პროფილის კონსოლით მთავრდება.

მესვეტის სენაკი კვადრატული გეგმის მქონე 2,40 მეტრი სიმაღლისაა. გარემოს ჩრდილოეთის მხარეს მოთავსებული კარით და აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლებით (მათგან მხოლოდ ჩრდილოეთის წირთხლე-

ბია დარჩენილი) უკავშირდებოდა. სენაკის კედლები შიგნიდან მოპირკეთებულია ნახევრად სუფთად გათლილი კარგად მორგებულ კირქვის საპირე წყობით. შემორჩენილი ნალესობა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კედლები შიგნიდან, შელესილი ყოფილა. ეკლესიასა და საკანს ხის კონსტრუქციის გადახურვა ყოფდა, გარდა აღმოსავლეთის ნაწილისა. ეკლესიის საკურთხევლის ქვეშ საკანი თაღით იყო გადავლებული. ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ საკურთხეველი საერთოდ მყარ საფუძველზე დაყრდნობით ეწყობოდა. სენაკის კედლებში ღრმა ნიშებია მოთავსებული. ამგვარად ისეთი სურათი ინახება რომ მარტვილის მესვეტის სენაკში უფრო ასკეტური ცხოვრება სუფევდა, ვიდრე სვიმონ ჭყონდიდელის მიერ 1141 წ. აგებულ უბისის სვეტზე. უბისის სვეტის მიხედვით გარკვევით ჩანს, რომ მშენებელს წაყენებული ჰქონდა მოთხოვნა სვეტი აგებულიყო ცხოვრებისათვის საჭირო სიმყუდროვის შესაქმნელად[4].

ეკლესიის კედლები შიგნიდან, ისე როგორც გარედან, სუფთად გათლილი თეთრი ფერის და მუყაითად დაწყობილი საპირე წყობითაა დაფარული. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ არც ნიშებში და არც აფსიდის თაღის ქუსლებთან, არ არის გამართული იმპოსტები. ისე ჩანს, რომ ეკლესია შიგნიდან არ იყო შელესილი, ე. ი. არც მათი მოხატვა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

3. ფასადების თავდაპირველი სახით წარმოდგენისათვის დასაყრდენ მასალას, როგორც თვით ძეგლის შესწავლით მოპოვებული მასალა, ისე 1913 წ. ფოტოსურათი წარმოადგენს. შენობის ზედა ნაწილი, როგორც ვთქვით, დეკორატიული თაღით იყო გაფორმებული. აღმოსავლეთის ფასადის აღსადგენად მასალა იმდენად საკმაოა, რომ შეიძლება თამამად აღვნიშნოთ: აღდგენილი სახე ერთადერთია და სხვა ვარიანტი გამორიცხულია.

როგორც ვხედავთ, ნაგებობის მხატვრული სახე ერთმანეთზე დადგმულ, ურთიერთდაპირისპირებულ (საცხოვრებელი სენაკი და ეკლესია) ფუნქციონალური დანიშნულების მქონე ორი ნაკვეთისაგან შედგებოდა: ზედა, მდიდრულად დეკორირებული, ნატიფად ნაგები — ეკლესია და ქვედა მასიური კვარცხლბეკი, რომელშიაც ჩართულია მესვეტის საცხოვრებელი სენაკი.

ეკლესიის კედლის სიბრტყეები შემკულია ქართულ ხუროთმოძღვრებაში უკვე X საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრებულ ფასადთა მორთულობის დეკორით. ამავე დროს მისი მხატვრული გააზრება სრულ დამოუკიდებლობას და შემოქმედებითი აღმაფრენის ორგინალობას იჩენს. ასე მაგ., ფასადების ბრტყელი პროფილის თაღნარი შეთანხმებულია ფასადთა მოჩარჩოებასთან — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები სამკუთხა ფრონტონთან, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კი სწორკუთხედთან.

თაღების მომხაზველი სარტყელი მთლიანად დაფარულია წრეებით შედგენილი ორნამენტული მოტივით, რომლებსაც მრავლად მოეძებნება პარალელი იმ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაში, მაგრამ თაღის გულთან გამოკვეთილი მსხვილი ბირთვები, რომლებიც მძივებად ასხმული მისდევს დეკორატიული თაღედის რიტმს, განმარტოებული დგას. ეს უწყვეტი რიტმის წკრიალა მოტივი, იმდენად მკაფიო ხელწერაა ოსტატისათვის, იგი იმ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დენად გატაცებულია ამ მოტივით, რომ შენობის დამაგვირგვინებელ ელემე-ნტზე — კარნიზზეც მიუჩინა ადგილი და თანაც გაორკეცებით.

ამგვარად დეკორის მთავარი მოტივია მსუყე მძივებად აკრეფილი ბურთულები. მსგავსი ბურთულების გამოყენების სხვა მაგალითი ჩვენში იშვიათია (უწერა, ქასაგინა), მაგრამ აქვე თაღედის გამფორმებელ აშიას ორივე გვერდზე რომ ასდევს რამდენადმე მსგავსი უფრო წვრილი და მოგრძო ფორმის მძივები, მათი პარალელები უფრო ხშირია და ჩვენში VIII-IX და X საუკუნის ძეგლებზე გვხვდება (წირქოლი, ჯვარპატიოსანი, წვირმი, ზემო კრიხი....). მსხვილი ბურთულების მოხმარების უცხოური მაგალითებიდან საყურადღებოა ბარის (სამხრეთი იტალია) წმ. გრიგოლის (XI ს.) აღმოსავლეთის ფასადის შესასვლელის თაღზე და აქვე მოედანზე ამართულ წმ. ნიკოლოზის (XI-XII) ბაზილიკის დასავლეთის სარკმლებში მოთავსებულ გამფორმებელ ელემენტებს მოგვაგონებს. გაფორმების მთავარი მოტივია მსგავსი ბურთულები ბუგარდის (გერმანია XII-XIII სს.) კაპელის აღმოსავლეთ ფასადზე[5]. რამდენადმე მოგვიანებით ეს მოტივი, როგორც ჩანს, ფართოდ გავრცელდა გოთურ არქიტექტურაში (რეიმსი, 1270 წ., კელნი 1212-1241 წ. და სხვა). ეს გარემოება კი საყურადღებო დასკვნის საშუალებას გვაძლევს საერთოდ.

როგორც ვიცით, მარტვილის სვეტის ეკლესიის გამფორმებელი თაღების ბრტყელი ზედაპირი ჩუქურთმით არის დაფარული. მსგავსი თაღედი მოხმარებულია ნიკორწმინდის (1014 წ.) ძეგლზე და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ის ფასადთა გაფორმების ამგვარი მიდგომის უკანასკნელ ნიმუშს წარმოადგენს. თუ მარტვილში აღნიშნულ სიბრტყეებს აყვება ბირთვებით შედგენილი მოციმციმე აქცენტი, ნიკორწმინდაში ეს აქცენტი მკვეთრადაა ხაზგასმული ლილვებით, რომლის გრეხილობაში გამოსჭვივის დაჭიმული ძარღვით შეკრული დეკორატიული კომპოზიცია. აქ ლილვები მთავარია, ის ხაზს უსვამს ორნამენტით დაფარულ სიბრტყით შექმნილ სურათს, იმ დროს როდესაც მარტვილში მოციმციმე ბირთვები თაღებს მიედევნება საერთო ფერწერული სურათის შესაქმნელად. ამ მხრივ მარტვილი ნიკორწმინდის მაგალითზე ადრინდლად გამოიყურება. ამ ჩვენ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ მარტვილში, ფასადების საერთო გადაწყვეტაში, მკვეთრად გამოსჭვივის ამ თაღედის ტექტონიკური საწყისები: თაღედი დადგმული კი არ არის ფონზე, არამედ ჯერ კიდევ კონსტრუქციულობის ილუზიას ქმნის, თითქოს ერთ თალნარიან ხუროთმოძღვრულ ორგანიზმის შიგნით მოქცეულა ბრტყელ ზედაპირიანი კედლების მქონე, მეორე ორგანიზმი. ეს დეკორატიული ხერხი დამახასიათებელია გარკვეულ მხატვრულ ეპოქისათვის (ოშკი, ბაგრატის ტაძარი, X ს. მეორე ნახევარი). ე. ი. მარტვილის სვეტი ამ მხრივ ნიკორწმინდაზე უფრო ადრინდელია და ზევით ჩამოთვლილ ძეგლებს უკავშირდება. მარტვილის სვეტის დათარიღებაში საორიენტაციო ცნობას გვაწვდის ისტორიული საბუთი: აგიოგრაფიული კრებულის (ხელნაწ. ინსტ. 240) მინაწერში ვკითხულობთ: ...„დაიწერა სუეტსა ზე და ჭყონდიდისა, ადიდენ ღმერთმან, მეფობასა ბაგრატ კურაპალატისა, ინდიქტიონი დ. ქრონიკონსა სნა, ხელითა იოვანე მესვეტისათა“[6]...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტვილი. სვეტი. აღმოსავლეთის ფასადი რესტავრაციამდე.
ავტორის ფოტო.

Мартвили. Столп. Восточный фасад до реставрации. (фото автора).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტვილი. სვეტი. აღმოსავლეთის ფასადი რესტავრაციის შემდეგ. ავტორის ფოტო

Мартвили. Столп. Восточный фасад после реставрации. (фото автора).

ამგვარად, იოვანე მესვეტე სვეტზე თავისი მოღვაწეობის თარიღს გვა-წვდის: 1031 წ. ეს ის ზღვარია, რომლის აქეთ შენობის აგების თარიღი არც გადმოიწევა. არქიტექტურულ სტილისტურ ნიშნებით აშენების ქვედა ზღვარი X ს. მეორე ნახევრით შემოიფარგლება. ორნამენტული სახეები აღებულია აგრეთვე ამ დროს (X-XI სს.) არსებული რეპერტუარიდან. მაგრამ ზოგი მათგანის ორიგინალური გარდაქმნით, მაგ., წრის ხლართებში ჩასმული ყურეები რომ ბრტყლად არის დატოვებული ამის პარალელს ჩვენ ვერ ვნახულობთ. რაც შეეხება კუწუბოებიანს (ისრის წვერის მოხაზულობის ორნამენტი) მრავლად გვხვდება X-XI სს. ძეგლებზე (საფარა, მც. ეკლესია ვალე...)[7]. წვრილი მოგრძო მძივები რომელიც თავისი აღნაგობით ძველი წარმოშობისაა ჩვენში გავრცელებულია როგორც ზემოთ აღვნიშნეთ VIII-IX და X სს. (წირქოლი, ყანჩაეთი, თოთალეთი, ზემო კრიხი, ტაშბაში და სხვა). მსუყე ბურთულების შესახებ ჩვენ აგრეთვე გვქონდა აღნიშნული რომ ისინი მარტვილის სვეტის სპეციფიკაა, მაგრამ პრინციპულად ცოტა დაბალი და მაღალი რელიეფი ისევ ამავე პერიოდში გვხვდება. ამგვარად ყველა ნათქვამი მარტვილის სვეტს იმ პერიოდის ძეგლთა შორის აყენებს, რომელიც X საუკუნის უკანასკნელ წლებსა და XI საუკუნის დასაწყისში არის აგებული.

4. ამგვარად მარტვილის სვეტი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის მნიშვნელოვანი და უნიკალური ძეგლია. მის მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენა იყო საჭირო, მით უფრო რომ, როგორც ვიცით მისგან ერთი ნახევარი იყო შემორჩენილი და ისიც ავარიულ მდგომარეობაში, დღედღეზე ჩამონგრევის საფრთხეს განიცდიდა. ძეგლის გადასარჩენად შედგენილი რესტავრაციის პროექტი აღდგენა-გამაგრების მეთოდს ეყრდნობოდა. პროექტით გათვალისწინებულია, რომ ძეგლის გამაგრებასთან ერთად აღდგეს მისი ზოგადი სახე — დაკარგული ხუროთმოძღვრული ფორმები, ფორმები რომელთა აღსადგენად ადგილზე უტყუარი მონაცემებია დარჩენილი. ნაგებობიდან დარჩენილი ნაწილის გამაგრება-შენარჩუნებაში და ამ უნიკალური ნაგებობის არასპეციალისტ დამთვალიერებლის მიერ სრულფასოვან წარმოდგენაში. ნახაზზე ნაჩვენები გვაქვს მორთულობათა ზოგადი დეტალი: კარნიზი, თაღების მორთულობა, ეკლესიის ცოკოლისა და თაღნარის ურთიერთ დამოკიდებულება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ განზრახული გვაქვს ამ მორთულობათა აღდგენა. აქ შევეცადეთ მხოლოდ მისაწვდომი სიზუსტით დაგვეფიქსირებინა ერთ დროს არსებული და დღეს უკვე გამქრალი ან თავდაპირველ ადგილიდან მოცილებული ძეგლის მნიშვნელოვანი მორთულობანი. აქ ისევ უნდა გავიმეოროთ, რომ *პროექტი ითვალისწინებს საერთო ხუროთმოძღვრული ფორმების აღდგენით შევინარჩუნოთ ძეგლის ისნაწილი, რომელიც ჩვენამდეა მოღწეული.* ძეგლის აღსადგენ ნაწილში საფუძველის შესწავლის მიზნით ამოღებული შურფებით გაირკვა, რომ სვეტი ქვიშაქვის რბილ ნიადაგზეა ამართული. ახალი, ბეტონით ამოყვანილი საძირკველი უფრო ღრმა და ფართეა, იგი ნიადაგში ჩასობილი $d = 30_{m}/^{m}$ და $h = 1$მ რკინის სოლებზე აღიმართა. ფერდობის შემდეგ ჩამოშლიდან დასაცავად სვეტის ძირში მოწყობილია რკინა-ბეტონის საყრდენი კე-

დელი, რომელსაც П მოხაზულობა აქვს. მისი ბოლოები ჩაღრმავებული ნიადაგში.

შენობის თავდაპირველი და ახალი ნაწილები შეკრულია წყობაში ჩამალული რკინა-ბეტონის სარტყელით. რაც უზრუნველყოფს სვეტის მთლიან ნაწილად გადაქცევას.

საგანგებოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ სამუშაოს წარმოების დროს ეკლესიის ჩრდილოეთის კედელში თავდაპირველი კარიდან დარჩენილი წირთხლის ნაწილი აღმოჩნდა. აქვე ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან კი მივაკვლიეთ ერთ დროს დასავლეთის ფასადზე არსებულ თაღნარიდან შემორჩენილ ფრაგმენტს. კარი და თაღნარი საერთო მოხაზულობით აღვადგინეთ.

სარესტავრაციო სამუშაოები ძეგლზე დამთავრებული იყო, როდესაც გადავწყვიტეთ მესვეტის სენაკიდან რკინის კიბე ჩამოგვეშვა, თუ მასზე ხის კიბეს მიადგამენ თავისუფლად შეიძლება სვეტზე მოხვედრა. ეს კი ძეგლით დაინტერესებულთ დაეხმარება მის დეტალურად გაცნობაში.

როგორც ვიცით სვეტის ჩრდილოეთის კედელი მონასტრის ეზოს დონეზეა, სამხრეთისა კი ხუთიოდე მეტრით დაბლა. ეზოში დაგროვილი ნალექებისგან სვეტის დაცვის მიზნით გამართულია წყლის საგანგებო გადასაყვანი.

ამგვარად დღეს უკვე აღდგენილი და გამაგრებულია მარტვილის განთქმული ანსამბლის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უნიკალური X-XI სს. ძეგლი — სვეტი.

---

1 C. M. Kaufmann. Hadbuch der christlichen Archaologie, Paderborn, 1922.

2. კ. კეკელიძე. საკითხი სირიელ მამათა ქართლში მოსვლის შესახებ. ტფ. ენიმკ. მოამბე, ტ. VI. 1926 წ.

3. ვ. ცინცაძე. კაცხის სვეტი. „ძეგლის მეგობარი" № 3, თბილისი, 1964, № 35 1974.

4. ვ. ცინცაძე. უბისის სვეტი „ძეგლის მეგობარი" № 18, თბილისი, 1969.

5 К. О. Гартман, История архитектуры, М., 1936, стр. 185-186.

6. ხელნაწ. ინსტ. ხელნ. აღწერა S-ს. თბილისი 1960, გვ. 489-490.

7. რ. მეფისაშვილი. ვალეს ტაძარი და მისი აშენების ორი ძირითადი პერიოდი. „ქართული ხელოვნება", ტ. 3. თბილისი. 1950, გვ. 25-52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბერიძე

# „მეპურის სახლი“ პურის მოედანზე

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ძველი თბილისის ერთ, შეიძლება ითქვას, რიგით საცხოვრებელ სახლზე, რომელიც მდებარეობს ენგელსის ქუჩის და პურის მოედნის შესაყარზე. ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, შიდა ეზოსა და გასასვლელი აივნების მეშვეობით გაერთიანებულია დამხმარე სათავსებიან ფლიგელთან და იზოლირებულ კომპლექსს წარმოადგენს. შენობაში შესვლა მხოლოდ ეზოს გალავანში არსებული კარებებით შეიძლება.

ნაგებობის მრავალგვარი არქიტექტურული ფორმების აშკარა განსხვავება — მისი სხვადასხვა დროს შენების შედეგია. ჩვენი მიზანია ზოგიერთი სამშენებლო ფენისა და მათი თანმიმდევრობის შეძლებისდაგვარად გარკვევა.

პურის მოედანი, ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის თბილისის გეგმაზე ადვილად იძებნება. იგი მდებარეობს იქ, სადაც ჯვარის მამის ეკლესიიდან კოჯრის გზისაკენ მიმავალ გრძელ ქუჩას, მოღნისის ეკლესიისაკენ და ბეჟანას ბალისაკენ მრუდე, ჩიხისებრი განშტოება აქვს. ნაკვეთი, რომელზედაც ჩვენი ნაგებობაა განლაგებული, იქ უნდა იყოს, სადაც ამ ქუჩასა და ჩიხს შორის განაშენიანების გამომხატველი უჯრედებით შევსებული მახვილკუთხა ფორმის არეა მოქცეული.

უფრო გარკვევითაა დატანილი ეს უბანი შემდგომი წლების თბილისის გეგმებზე, რომელთა შეჯერების შედეგად ვღებულობთ დამახასიათებელი მახვილკუთხა ფორმის მიწის ნაკვეთს, მახვილი კუთხით დაახლოებით იქ, სადაც დღეს ენგელსის ქუჩისა და პურის მოედნის საზღვრებით შედგენილი კუთხეა[1]. სხვა სურათია თბილისის 1859 წლის გეგმაზე. კუთხე ბლაგვი ან მართი ჩანს, მაგრამ ისე, რომ მისი შემადგენელი გვერდების განლაგება, ან მათი ძირითადი მიმართულება მაინც უცვლელი დარჩა. მახვილი კუთხის შიდა არე მოედნის ფართობს შეემატა, თვით მიწის ნაკვეთი კი, როგორც ამას ქალაქის 1885 წლის გეგმაზე ვხედავთ, უკვე დღევანდელი ფორმისაა[2].

დღევანდელი ფორმა ამ ნაკვეთისა არის მართკუთხედი ჩამოკვეთილი კუთხით. მისი აღმოსავლეთის გვერდი (საზღვარი მოედნის მხარეს) მკვეთი ხაზის სიგრძეზე, შესაძლოა ვახუშტისეული გეგმის მიხედვით XVIII ს. დროინდელი წითელი ხაზია.

თუ ამ მოსაზრებას შესაძლებლად მივიჩნევთ, ნაკვეთის საზღვრის ნაწილის ამგვარი თავისებურება, მისი განლაგების ხაზს, ქალაქის ადრინდელი სახის გარკვევისათვის ერთ-ერთ საჭირო ორიენტირად წარმოგვიდგენს, მთელ ნაკვეთს კი ახასიათებს, როგორც თვალსაჩინო მაგალითს ქალაქის ძველი უბნების შესწორება-მოწესრიგების ცნობილი პროცესისა, რომელიც დამახასიათებელია XIX ს. თბილისის მშენებლობისათვის და ეს სახლიც საყურადღებოა მის შესასწავლად.







„მეპურის სახლი“ პურის მოედანზე. ფოტო, ესკიზური რეკონსტრუქცია და მეორე სართულის გეგმა. ფოტო და ნახაზები ავტორის.

«Дом пекаря» на хлебной площади. Фото, эскизная реконструкция и план второго этажа. Фото и чертежи автора.

ნაკვეთს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ეზო და შენობები ესაზღვრება. ამიტომ, აქ აგურის ყრუ კედლებია. მისი სამხრეთის გვერდი ენგელსის ქუჩის ხაზს ქმნის, აღმოსავლეთისა კი პურის მოედნისას. მათ მიერ შედგენილ კუთხეს და ნაკვეთის სამხრეთის ნაწილს ავსებს ქართული აგურით მკვიდრად ნაშენი, სწორკუთხა გეგმის მქონე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც დღესაც მხოლოდ საცხოვრებელ ოთახებს და ნაკვეთურებად დაყოფილ სარდაფს შეიცავს. ორივე სართულის გეგმარება მსგავსია, ყოველ სართულში თითო 6 ოთახიანი ბინა იყო.

აკად. ვ. ბერიძის კლასიფიკაციის მიხედვით, ეს გეგმა, 1830-1840 წლებში თბილისში საკმაოდ გავრცელებული ორმაგი ანფილადის სისტემისაა[3].

ეზოს მხარეს, ჩრდილოეთის ფასადის სიგრძის მქონე ორსართულიანი აივნები ორივე სართულის ბინებს მოედანთან, ეზოსთან და ფლიგელთან აკავშირებენ. აქ ნათლადაა გამოხატული, თბილისური აივნების მრავალ დანიშნულებათა შორის, მისი ერთ-ერთი ძირითადი — გეგმარებითი როლი საცხოვრებელი სახლის სტრუქტურაში.

პირველი სართულის არქიტრავული აივნის დაწახნაგებულ სვეტებს ეზოსაკენ მცირე კონსოლით გამოსული, საკმაოდ სქელი კვეთის, სართულშუა გადახურვა უჭირავთ, რომლის კიდეზეც დაყრდნობილია მეორე სართულის აივნის, დღეს შუშაბანდათ გადაკეთებული სამყურა თაღედი. მისი ერთი მალი ხელუხლებლადაა შემორჩენილი დასავლეთის სასაზღვრო კედლის მიშენების გამო. შუშაბანდათვე გადაკეთებული პირველი სართულის აივნის მოხარატებული მოაჯირიც დღეს ყრუ შეფიცვრითაა შეცვლილი, ისევე, როგორც მეორე სართულის აივნისა, რომლის გაჩარხული რიკულების ნაწილიც ფლიგელის კიბის შეკეთებისას მოუხმარიათ. ორივე აივანი თავისი ფორმების მიხედვით 1840-1850 წლებს უნდა მივაკუთვნოთ[3].

მეორე სართულის აივანზე მოედნიდან ასასვლელი ერთმარშიანი ხის კიბის, ყოველმხრივი შეფიცვრისა და გვიანდელი გადაკეთების გამო, ადრინდელი სახის დაზუსტება გაძნელებულია.

ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მის მთელ სიგანეზე, მეზობელ სახლზე მიშენებულია გეგმაში წაგრძელებული, მართკუთხა ტრაპეციის ფორმის, თავისებური ფახვერკული სახის, ხისა და აგურის დგარკოჭოვანი კონსტრუქციის მქონე ორსართულიანი ნაგებობა—დამხმარე სათავსებიანი ფლიგელი.

ფლიგელის პირველ სართულში მოთავსებულ საპირფარეშოში და დღეს დანგრეულ, ოდესღაც მოქმედი ფურნის კვამლისაგან ერთიანად გარუჯულ სათავსში, მოხვედრა პირდაპირ ეზოდან შეიძლება. მხოლოდ მოედნიდან აქვს შესასვლელი მის მოსაზღვრე სათავსს — ძველ დარაბას.

ფლიგელის მეორე სართულზე, დარაბის თავზე მოსამსახურეთა საცხოვრებელი ოთახია. მის გვერდით გაუქმებული სამზარეულო და მოქმედი საპირფარეშოა. მეორე სართულის სათავსების დამაკავშირებელ გადახურულ აივანზე ასასვლელი ხის ვიწრო, ერთმარშიანი კიბე აივნის ფართობშია მოქცეული.

საცხოვრებელი სახლისა და ფლიგელის მეორე სართულებს ხის გადასასვლელი აივანი აკავშირებს, რომელიც ნაკვეთის დასავლეთის საზღვარ-

ზე აგებულ აგურის ყრუ, ორსართულიან კედელზეა მიშენებული და მასში ჩამაგრებულ კრონშტეინებს ეყრდნობა. აივანს ფიცრის ჭერიანი, ცალქანობიანი სახურავი ხურავს, რომლის დიდი კონსოლიც ეზოში გადადის. ფლიგელის აივანი და გადასასვლელი აივანი ერთნაირი არქიტრავული კონსტრუქციისაა. მათი მრგვალი სვეტებიც ერთნაირი „ორდერისაა“, რომელიც XIX საუკუნის პირველი მეოთხედისათვის დამახასიათებელი პროპორციებისა და ელემენტების მქონეა[4]. აივნების ძირითადი კონსტრუქციები, იატაკი, სვეტები, ჭერი და მოაჯირი ერთმანეთის თანადროული და ერთიანად ნაგები ჩანს. ხის გაჩარხულ რიკულებში აქა-იქ შეინიშნება ოდნავ განსხვავებული ზომისა და პროპორციების რიკულები, მაგრამ ისინი ძირითადად, ორივე აივანზე ერთგვარია.

გადასასვლელი აივნის იატაკის, არქიტრავის და მოაჯირის სახელურის შეერთების კვანძი საცხოვრებელი სახლის აივნის კონსტრუქციებთან, გვაფიქრებინებს, რომ გადასასვლელი აივანი უკვე არსებობდა, როცა აიგო სამყურა თაღედიანი სვეტნარი. გარდა ამისა, სამყურა თაღედიანი სვეტნარის ფორმათა შედარება გადასასვლელი და ფლიგელის აივანთა ფორმებთან, გვიმტკიცებს ამ მოსაზრებას.

მოედნის მხარეს, ნაკვეთის აღმოსავლეთის საზღვარზე, საცხოვრებელ სახლსა და ფლიგელს შორის იმ ხაზს, რომელიც ჩვენ ვახუშტისეულ წითელ ხაზად მიგვაჩნია, მიყვება ეზოს გალავანი — აგურის კედელი. კედელში დატანებულია მოედნიდან საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის აივანზე შესასვლელი სადარბაზო კარი, მეორე სართულის აივანზე ასასვლელი კიბის კარი, ეზოში შესასვლელი მცირე კარი და გაუქმებული ალაყაფის კარი, რომლის არეშიც, კიბის ქვეშ დღეს მცირე ზომის მაღაზიაა მოწყობილი[5].

კედელზე დაშენებულია საცხოვრებელი სახლისა და ფლიგელის დამაკავშირებელი შემინული გალერეა, რომელიც ეზოს მხარეს სახელდახელო დგარებზე ეყრდნობა. გალერეა თავის მთელ სიგრძეზე, ოთხივე მალში, ისეთივე რომბისებრი მუშარაბით იყო შემინული და ყრუ შეფიცრული მოაჯირებიც ფიცრიდან გამოხერხილი რიკულების კონტურული სახეებით ისევე იყო გაფორმებული, როგორც ეს დღემდე შემორჩა ფლიგელის მხარეს ორ მალში. მუშარაბი, ფიცრის რიკულები, სარკმელები, ბოძები და სხვა ელემენტები ერთდროულია და ერთნაირად ნაშენი. გალერეის აგება შეიძლება დაწყებულიყო არა უადრეს 1850-იანი წლებისა[6].

კედლის გათავისუფლება აშკარად გვიანდელი ნაწილებისაგან მის ფორმებს დააზუსტებს, მაგრამ დღესაც შეიძლება ზოგიერთი მოსაზრების გამოთქმა კედლის ადრინდელი სახის შესახებ, რაც ჩვენ მიერ შედგენილ ესკიზურ რეკონსტრუქციაშია ნაჩვენები.

სხვადასხვა სიმაღლის კედელი, განსხვავებული მნიშვნელობისა და დანიშნულების ღიობებით, როგორც აღინიშნა, მკაფიოდ დიფერენცირებული ფუნქციური კავშირების მაორგანიზებელი სიბრტყეა. მისი არქიტექტურული დამუშავება, ამავე დროს, არ ზღუდავს მოედნის სივრცის გავრცელებას ნაგებობის შიდა არეში. კედლით იქმნება, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ფუნქციური იზოლაცია. რჩება მნიშვნელოვანი სივრცითი და, აქედან გამომდი-

ბიბლიოთეკა

ნარე, მრავალფეროვანი ვიზუალური კავშირები მოედანზე და ეზოში განლაგებულ ნაგებობებს შორის.

საცხოვრებელი სახლის ეზოს ფასადი მშვენივრად ჩანდა მოედნიდან და ამიტომაც მისი ერთ-ერთ მთავარ ფასადად მიჩნევა შეიძლებოდა. როგორც ცნობილია, ეს ფაქტორი იმ დროს ფრიად მნიშვნელოვანი იყო, მითუმეტეს, გეგმარება აქ დიდ, განმანაწილებელ აივანს თხოულობდა. ამიტომაც არის ეს აივანი შემკული სამკბილა თაღედით, თანაც იმ წლებში, როცა ამგვარი აივნები მხოლოდ ქუჩის ფასადებზე კეთდებოდა.

ნაგებობაში გალერეის ჩაშენება და შემდგომში მისი ახალ დამხმარე სათავსებად დანაწილება — საგულისხმო ფაქტია. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს ცხოვრებისეული მოთხოვნილებების ცვლის შესაბამისად, გეგმარების, არქიტექტურულ ფორმათა და სივრცითი კომპოზიციების ცვლას.

კედლის სიმაღლის მომატებით, მისი ხაზის ერთ დონეზე გასწორებით და მასზე შემინული გალერეის დაშენებით მოხდა ადრინდელი სივრცითი სტრუქტურის რღვევა, მდიდარი ვიზუალური კავშირების მოშლა, შიდა ეზოს მოედნის სივრციდან იზოლაცია.

თუ გალერეის ჩაშენებამდე ნაგებობა სამმხრივ მოშენებულ ეზოიან სახლს წარმოადგენდა, ახლა იგი პრინციპულად სხვა, ოთხმხრივ მოშენებულ ეზოიანი გახდა.

სამმხრივ მოშენებული ეზოიანი შენობები, თბილისში სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა უბანში შენდებოდა. ძირითადად, ამგვარი სახლები მრავალი წლის სამშენებლო მოღვაწეობის შედეგია, მაგრამ არის აგრეთვე ერთიანი მშენებლობის მაგალითებიც. განსხვავებულია ამ ნაგებობების, როგორც არქიტექტურულ-ფუნქციური სტრუქტურა, ასევე მათი მხატვრული ამოცანები, ეს ცალკე საკითხია და ჩვენ ამაზე აქ არ შევჩერდებით, მაგრამ ყველა ამგვარი ნაგებობისათვის დამახასიათებელი და, ამავე დროს, ყველასათვის ძირითადი არის შიდა ეზო, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კავშირი ნაგებობის ნაწილებს შორის.

ჩვენს შემთხვევაშიც შიდა ეზოს სივრცეში განლაგებული აივნით ხდება კავშირი საცხოვრებელ ოთახებსა და მოსამსახურეთა ოთახსა, სამზარეულოსა და საპირფარეშოს შორის. მხოლოდ ეზოს გავლით შეიძლება მოედნიდან ფლიგელის მეორე სართულზე ასვლა, პირველი სართულის საცხოვრებელი ოთახების გამაერთიანებელ აივანზე, სარდაფში და მაცივარში მოხვედრა.

ფლიგელის ფურნით, ხოლო სარდაფის დიდი ღუმელით აღჭურვილობა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა პურის მოედანზე პურის ცხობისა და პურით ვაჭრობის ცნობილი ტრადიციის გადმოცემა ამ ნაგებობასაც ეხებოდა. თუ ამ მოსაზრებას რეალურად მივიჩნევთ, გვექნება საფუძველი ნაგებობის ძირითად, საცხოვრებელ ფუნქციას დავუმატოთ საწარმოო და სავაჭრო ფუნქციები, რომლებიც რასაკვირველია, ეზოს ფართობის აქტიური გამოყენებით ხორციელდებოდა.

ცხადია, ამგვარი ფუნქციური მახასიათებელი მხოლოდ შიდა ეზოს არსებობით ვერ აიხსნება. აქ არსებითია და, ალბათ, გადამწყვეტიც შემომსაზ-

ღვრელი ნაგებობების დანიშნულება, მათი ფუნქციები, რომლებიც კვება-დნენ ეზოს ფუნქციას; მათი გეგმარება, რეალური ზომები და კონკრეტული არქიტექტურული ფორმები.

ეზოს შემომსაზღვრელი ნაგებობების — საცხოვრებელი სახლის, ფლიგელის, ეზოს გალავნისა და შემინული გალერეის ფასადები, მეზობელი ორსართულიანი სახლის ფასადთან ერთად შეადგენენ ერთიან დიდ ფასადს, რომელსაც პურის მოედნის მთელი დასავლეთის მხარე უკავია.

ამ სივრცითი კომპოზიციის წამყვანი მოცულობის — საცხოვრებელი სახლის — ფასადი ფრონტალურად იკითხება, თუ პურის მოედანზე რიყინაშვილის ქუჩით შევდივართ, ვინაიდან იგი ქუჩის ღერძზეა და მის პერსპექტივს კეტავს. ფასადის მარცხნივ, რიყინაშვილის ქუჩის გაგრძელებაზე, ენგელსის ქუჩის ვიწრო და ღრმა სივრცეა, რომლის საპირისპიროდ, ნაგებობის ფასადის ვრცელი, ჰორიზონტალურად გაჭიმული სიბრტყე, მნახველის ყურადღებას მარჯვნივ მიმართავს და საკუთრივ მოედანზე გაჰყავს იგი.

ფასადის ცენტრალურ ნაწილში გამოირჩევა ფლიგელის ვიწრო, ორსართულიანი ფასადის ცხოველხატული ზედა ნაწილი. ორი ერთიმეორეზე შესხმული კვადრატის პროპორციის ფასადი მეზობელი სახლის სიმაღლისაა, მასთან ერთიან წითელ ხაზზეა განლაგებული, რის გამოც ფლიგელის მოცულობა დამოუკიდებლად არც კი იკითხება.

პირველი სართულის ფასადის თითქმის მთელი ფართობი დარაბის ღიობს უკავია. აქ არავითარი მორთულობა არ არის. მეორე სართული, პირველის კონტრასტულად, ჰორიზონტალური სარტყელებითაა დაყოფილი. სარტყელთა შორის მცირე არეში დაყოლებულ სამმაგ სარკმელს, რომლის მარცხენა ნაწილიც ცრუ სარკმელია, ოსტატურად აერთიანებს არქივოლტების სამი ერთმანეთზე გადაბმული ნახევარწრე, რომელთა ჰორიზონტალური ნაკეცები, სარტყლის სახით სარკმლის ორსავე მხარეს იშლება, ფასადის კიდეებამდე მიდის და იქ წყდება. კუთხის იქით, ეზოს ფასადზე, არც ერთი სარტყელი არ გრძელდება.

ეს სამმაგი სარკმელი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განსხვავდება XIX ს. დასაწყისში, გვიანი რუსული კლასიციზმის გავლენით, თბილისში გავრცელებული „პალადიოსეულ" სამმაგი სარკმელებისაგან. ცალკეულ სარკმელზე ამგვარი, ჰორიზონტალურ გადანაკეცებიანი თავსართები გვხვდება განახლებულ სახლზე ბარათაშვილის ქუჩაზე (სადაც დღეს რესტორანია მოწყობილი), ალავერდოვის მოედანზე და გელათის ქ. № 6-ში, რომლის არქიტექტურასაც ვ. ცინცაძე XIX ს. პირველი მეოთხედით ათარიღებს[7]. შესაძლოა ფლიგელის სამმაგი სარკმელიც ამ პერიოდისა იყოს.

სამნაწილიანი სარკმელის ცრუ სარკმელი, აშკარად ღიობის ფართობის შესამცირებლადაა დახურული, რადგან ამ ოთახს ეზოს მხარეს კიდევ ორი ფანჯარა აქვს. ფასადზე ცრუ სარკმელი საჭირო გახდა, როგორც სამნაწილიანი კომპოზიციის აუცილებელი მხატვრული ელემენტი. ამ შემთხვევაში, სამმაგი სარკმელი აქ კონკრეტული მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტადაა შექმნილი. როგორც ჩვენ ვფიქრობთ საჭირო იყო მცირე ზომის ფასადისათვის მასშტაბის მოჩვენებითი გაზრდა, თავისებური პრესტი-

ჟული გადაწყვეტის პოვნა ისე, რომ გროტესკული შეუსაბამობა არ წარმოქმნილიყო. ეს ამოცანა, ოსტატის მიერ გარკვეული არტისტიზმითაც კი არის გადაწყვეტილი.

როგორც ითქვა, საცხოვრებელი სახლის მოედნის ფასადი, საკმაოდ შორიდან, თითქმის ორთოგონალში ჩანს. ენგელსის ქუჩაზე გამავალი ფასადი ქუჩის სივიწროვის გამო, ძალიან ახლოდან, ძლიერ რაკურსში იკითხება. ეზოს ფასადი, მთლიანად ორსართულიანი აივნითაა დახურული.

მიუხედავად ფასადთა აღქმის ამგვარი განსხვავებული პირობებისა, მათი არქიტექტურა თვალსაჩინოდ ერთნაირია, შენობის სამივე ფასადის კედლები ერთი მხატვრული ხერხით არის დამუშავებული. ფანჯრის რაფების, სართულშუა გადახურვის, ქერისა და კარნიზის დონეებზე გამავალი, განსხვავებული სირთულისა და ზომის, ხუთი პროფილირებული სარტყელი გარს უვლის შენობას, რითაც მკაფიო ჰორიზონტალურ არეებად ჰყოფს გაჯით შელესილი კედლის გლუვ სიბრტყეებს. მიუხედავად კარ-სარკმელთა საკმაო რაოდენობისა, ვიწრო და დაბალი პროპორციებისა და მათი ფართობის საგრძნობი სიმცირის გამო კედლის საერთო ფართობზე, კედელი გაბატონებულია ფასადზე.

ფასადის აგების სტრუქტურას, ადგილის სიმცირის გამო, მხოლოდ მოედნის ფასადის მაგალითზე განვიხილავთ. ფასადის სიმეტრიის ღერძი შუა სარკმელზე და აივანზე გასასვლელ კარზეა გატარებული. სარკმელთა და კარის სიგანეები ტოლია, შუაკედლისებისა კი ნაპირებიდან ცენტრისაკენ სიმეტრიულად მცირდება.

სიმეტრიული ფასადის ჰორიზონტალებით დანაწევრება დამახასიათებელია გვიანი რუსული კლასიციზმის არქიტექტურისათვის. ადვილი დასანახია ჩვენი ფასადის საერთო ხასიათის მსგავსება რუსეთში „აპრობირებულ“ ფასადებთან, თვალსაჩინოა საერთო სტრუქტურული მსგავსება თბილისში 1830-იან წლებში შედგენილ პროექტებთან[6], რომლებიც ვ. ბერიძის დასკვნით „თითქმის უცვლელად იმეორებენ საეალდებულო ნიმუშებს“[7]. უფრო კონკრეტულად შეიძლება დავუკავშიროთ ჩვენი ფასადი საცხოვრებელი სახლის პროექტს, რომელიც თბილისში მომუშავე არქიტექტორს დემიდოვს შეუდგენია 1830 წელს[8]. ჩვენი შენობის მოედნის ფასადის სტრუქტურა თითქმის ზუსტად იმეორებს ამ ფასადის ხუთსარკმელოვან სტრუქტურულ წყობას, გარდა შესასვლელ კართა ფასადზე განლაგებისა, პარაპეტის ფორმათა განსხვავებისა და დაკიდულ აივნის უქონლობისა.

ჩვენი ნაგებობის „კესონირებულ“ პარაპეტს არაფერი აქვს საერთო „აპრობირებულ“ პროექტებში გამოყენებულ პარაპეტებთან. მრავალფორმიანი, „კესონირებული“ პარაპეტები გვხვდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის არქიტექტურაში. მაგალითად საუკუნის დასასრულს აგებული სახლის პარაპეტი (აბაშიძის ქ. № 12). ამგვარი პარაპეტები უჩვეულოა 1830-იანი წლების არქიტექტურისათვის, მით უფრო, რომ „კესონების“ ზედა კუთხეებში ჩამაგრებული, რადიალური ხაზებით დამუშავებული ალებასტრის თხელი სექტორები, რაც ფასადთა ერთადერთ მორთულობას წარმოადგენს, აგრეთვე არ გვხვდება ამ დროის პროექტებში. დღეისათვის აშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარაა პარაპეტის ამ გაურკვეველი ფორმის შემდგომი კვლევის აუცილებლობა.

ფასადის მეორე სართულის სარკმელთა მოჩარჩოების ზედა ნაწილის ანალოგიურად მიგვაჩნია, ვ. ცინცაძის მიერ გაზომილი და XIX ს. პირველი მეოთხედით დათარიღებული შენობის სარკმელთა ჩარჩო[9].

როგორც ითქვა, მეორე სართულის ბინას, ენგელსის ქუჩისა და პურის მოედნის მხარეს ორი, მსგავსი კონსტრუქციის, მაგრამ განსხვავებული ზომის, დაკიდული აივანი აქვს. ყოველმხრივ შეფიცვრით დაფარულ კონსოლურ კოჭებზე მოწყობილია ლითონის ჩამოსხმული, აჟურული სექციებისაგან შედგენილი მოაჯირი, ხის სახელურით. ცალქანობიანი, უჭერო, თუნუქის მსუბუქი სახურავის დამჭერი ლითონის წვრილი დგარები მოაჯირის სიმაღლეზე ხის დაწახნაგებული ელემენტებითაა მოპირკეთებული. თუ ლითონის დგარი თავის მთელ სიმაღლეზეც ასევე იყო ხის ფირფიტებით მოპირკეთებული, მაშინ მის თავზე ხის „კაპიტელის" არსებობა სავსებით გასაგებია. კონსოლური ფილის ვიწრო გვერდებისა და მოაჯირთა კედელთან მიერთება, სარკმელთა წირთხლის სიბრტყეზეა და არა შუაკედლისის არეში, სადაც ჩვეულებრივ ჩამაგრებული უნდა იყოს დაკიდული აივნის მოაჯირი. ასეა ორივე აივნის ოთხივე გვერდზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს შეცდომა არ არის, არამედ მიზანდასახული მოქმედების შედეგია. ჩვენი დაკვირვების შემთხვევაში, მასზე არქიტრავული ან თაღოვანი გადახურვის მოწყობა შეუძლებელია, რაც ჩვენი აზრით ასაბუთებს, რომ ამ აივნების ხის კონსოლები თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული ხის ან ლითონის ამგვარი გადახურვის მოსაწყობად. აივნის მოაჯირების ზომები, და დგარებს შორის მანძილები დეკორატიული სექციის ზომის ჯერადია და ხის კონსოლური ფილის გაბარიტების გათვალისწინებითაა დაგეგმილი და აგებული, რაც აივნის კონსტრუქციათა აგების ერთდროულობაზე მეტყველებს.

გადაუხურავი აივნის სარკმელთა წირთხლებს შორის განლაგება გვხვდება 1830-იანი წლების თბილისური სახლების პროექტებში, რომლებშიც ვ. ბერიძე ხედავს „აპრობირებულ" ნიმუშებზე დამყარებულ არქიტექტურულ ფორმათა ცვლას, რომელთა შორის, თბილისური „გავლენის" მაუწყებელ მოვლენათა შორის, უპირველეს ნიშნად, სახლის ფასადზე ღია, რიკულებიანი აივნის გაჩენა მიაჩნია[10]. ამგვარი აივანი, რომელიც გვაგონებს ჩვენსას, გვხვდება 1829-30 წლების პროექტებში. 1830-35 წლების პროექტებში ხშირია დაკიდული რიკულებიანი აივანი. ჩვენთვის საინტერესოა ვ. ბერიძის შენიშვნა, რომ პროექტების შესრულების ხასიათით ამ აივნებს, „ზოგჯერ შესაძლოა რკინის მოაჯირიც აქვთ"[10], მაგრამ მისი აზრით, ამ წლებში „უფრო მნიშვნელოვანია დაკიდული გადახურული აივნის გაჩენა", ჩვენთვის კი აღსანიშნავია, რომ ამ აივნებს უჭერო ცალქანობიანი სახურავი ხურავთ.

ამ აივნებისადმი ჩვენი ყურადღება იმითაც არის გამოწვეული, რომ დღემდე ვერ ვნახეთ ლითონის მოაჯირიანი და ხით მოპირკეთებული ლითონის დგარებიანი ცალქანობიანი ხის აივანი, შეიძლება ითქვას, ორმაგი სისქის კონსოლურ ფილაზე მოწყობილი. ეს ორივე კონსოლური აივანი ფასადზე განლაგების, აგების თავისებურებათა და მითითებულ მაგალითე-

ბთან შედარების საფუძველზე, თავისუფლად შეიძლება ჩავთვალოთ 1830-იანი წლების ხისა და ლითონის ელემენტებისაგან შედგენილ, თავისებური „ნარევი“ კონსტრუქციის მქონე აივნად, რომელიც შესაძლოა ერთგვარი წინამორბედია ხის სვეტებიანი დაკიდული გადახურული აივნისა.

ჩვენი დაკვირვებების მიხედვით, საცხოვრებელი სახლის გეგმა 1830-1840 წლებით უნდა დათარიღდეს. ქალაქის გეგმების შეჯერებითაც ამ ნაკვეთზე მართკუთხა ფორმის გაჩენა 1830-იან წლებში მოხდა. კარ-სარკმელთა და ჰორიზონტალურ სარტყელთა ფასადზე განლაგების სტრუქტურით, ფასადიც აგრეთვე 1830-იანი წლების უნდა იყოს. II სართულის სარკმელთა ჩარჩოც ამავე პერიოდისაა. დაკიდულ აივანთა ფასადზე განლაგება და მათი კონსტრუქციების სტრუქტურაც 1830-იანი წლების დამახასიათებელია. 1850-იან წლებს უნდა მივაკუთვნოთ ხის ორსართულიანი აივნები და პარაპეტი.

მიღებული ჭრელი ქრონოლოგიური სურათი დალაგებულად ასე წარმოგვიდგენია: საცხოვრებელი სახლი დაპროექტებულია 1830-იან წლებში. ამიტომაც მისი ფასადისა და დაკიდული აივნების სტრუქტურა ამ წლების შესაბამისია. შესაძლოა მშენებლობის დიდად გაგრძელების გამო (რაც ხშირი მოვლენა იყო ამ წლებში), შენობამ მისი დამთავრებისათვის 1850-იან წლებში მიიღო ახალი პარაპეტი, ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ფორმის ხის აივნები, როგორც დანახნაგებულ სვეტებიანი, ასევე სამკბილა თაღედიანი.

მოტანილი მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ ნაგებობის დღემდე შემორჩენილი, ყველაზე ადრინდელი ნაწილია ეზოს გალავანი, ყოველ შემთხვევაში მისი განლაგების ხაზი მაინც, რომელიც შესაძლოა მე-18 საუკუნის წითელი ხაზი იყოს. დამხმარე სათავსებიანი ფლიგელი, გადასასვლელი აივნით, XIX საუკუნის პირველ მეოთხედს უნდა მივაკუთვნოთ. მშენებლობის შემდეგი ეტაპია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, დაწყებული 1830-იან, ხოლო დამთავრებული 1850-იან წლებში. სახლსა და ფლიგელს შორის, ეზოს გალავანზე ჩაშენებული მუშარაბიანი გალერეა — არაუადრეს 1860-იანი წლების სამშენებლო მოღვაწეობის შედეგია.

ამ კონკრეტული ნაგებობის მშენებლობის ზოგიერთი ეტაპის გათვალისწინებით, მკაფიოდ ჩანს XIX საუკუნის გარკვეული პერიოდის ქალაქური ცხოვრების ხასიათის ცვლის შესაბამისად არქიტექტურულ ფორმათა ევოლუციის ის ზოგადი საფეხურები, რომლებიც ახასიათებს XIX საუკუნის თბილისის ხუროთმოძღვრებას.

---

1. იხილე თბილისის გეგმები 1782, 1800, 1802 წლებისა.

2. სცია, ფ. 192, ანაწ. 8, საქმე № 662, ფურც. 6.

3. ვ. ბერიძე, „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები“, თბ. 1960 წ. ტ. I, გვ. 67, 69. 94, 104, 105.

4 В. Цинцадзе. «Тбилиси», Тб., 1958, стр. 109.

5. 1905 წლის საბუთში, რომელიც ამ ნაგებობის დაზღვევას ეხება, იხსენიება ალაყაფის კარი. სცია, ფ. 1503, ანაწ. I, საქმე № 469, ფ. 3.

6 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი 1801-1917 წლები“. ტ. I, გვ. 103-105, სურ. 55, 60, 65, 67.

7 В. Цинцадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 72, 73.

8 სცია, ფ. 209, ანაწ. I, საქმე № 201, ფურც. 8.

9 В. Цинцадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 3

10 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 87, სურ. 62, 65, 88-90.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჯავახიშვილი

# ადამიანის სახე უძველესი ხანის საქართველოს მცირე პლასტიკაში

წინაფეოდალური და ნაწილობრივ ადრეფეოდალური პერიოდის საქართველოს ანთროპომორფული პლასტიკის ძეგლები საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ადამიანის მხატვრული სახის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი ძველი საქართველოს ხელოვნებაში. მცირე და მონუმენტური პლასტიკის ამ ნიმუშების მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ხსენებულ პროცესს დაახლოებით 6000 წლის მანძილზე, ნეოლით-ენეოლითის ხანის ქვემო ქართლის თიხის ანთროპომორფული ფიგურებიდან, ვიდრე გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის პორტრეტულ გემებამდე და მცხეთის ჯვრის ქტიტორთა რელიეფურ ქანდაკებებამდე.

თუმცა ზოგიერთი პერიოდის მასალები მცირე რაოდენობით მოიპოვება, ზოგისაც, მაგალითად, გვიანი ბრინჯაოს ხანისა, სრულიად არ არის ცნობილი, მაინც საბოლოო ჯამში ჩვენ ხელთ გროვდება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა, რომლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადამიანის მხატვრული სახე ამ ხნის განმავლობაში განიცდიდა კანონზომიერ ცვალებადობას როგორც შინაარსის ,ისე მისი შესაბამისი ფორმის თვალსაზრისით და რომ მან გაიარა განვითარების რამდენიმე თანმიმდევრული საფეხური.

ირკვევა, რომ ადამიანის პირველი პლასტიკური გამოსახულებები სამხრეთ კავკასიაში გაჩნდა როგორც ბუნების ნაყოფიერების, სიცოცხლის მარადიული განახლების მფარველი ძალის განსახიერება, მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბება-განვითარების, მატრიარქალური გვარის აყვავების ხანაში (ნეოლითის მიწურული; ენეოლითი, ძვ. წ. VI-IV ათასწლეულები).

წარმოდგენა ბუნების სასიცოცხლო ძალაზე და ადამიანზე ამ დროს განუყოფელია ერთიმეორისაგან და პირველს ეძლევა მეორის სახე; ეს უკანასკნელი კონკრეტულად ვლინდება ნაყოფიერების უზრუნველმყოფელი და გამომხატველი ნაწილების ხაზგასმაში, უტრირებაში და სხეულის სხვა ნაწილების უგულებელყოფასა და ხანდახან სრულ უარყოფაში. ამიტომაცაა, რომ ენეოლითის ხანის თიხის ანთროპომორფული ფიგურები ერთსა და იმავე დროს პირობითიცაა და რეალისტურიც — მათში შერწყმულია სქემატიზებული ზოგადი ფორმა და საგანგებოდ ხაზგასმული, ზოგჯერ ცოცხლად გადმოცემული დეტალები. მაშინაც კი, როცა გამოსახულება ისეთი სქემატურია, როგორც, მაგალითად, შულავერის გორის ფიგურა, მას მთლიანად არა აქვს დაკარგული რეალური ფორმის შეგრძნება, რაც ვლინდება ხორცსავსე ფეხების მოცულობით მოდელირებაში. საერთოდ, საქართველოს ანთროპომორფული პლასტიკა განვითარების ამ პირველ საფეხურზე გამოირჩევა ფორმების მოცულობითი, მყარი ძერწვით გაწონასწორებული მასების შინაგანი რიტმით, ლაკონიური ექსპრესიულობით. აქ ერთი მხრივ ჩანს ბუნების უშუალო, ცოცხალი აღქმა, მეორე მხრივ კი — უკიდურესი განზოგა-

დება და სქემატიზაცია. ყოველივე ეს აძლევს ამ პერიოდის ანთროპომორ-ფულ ფიგურებს მხატვრული ზემოქმედების დიდ ძალას და აყენებს მათ ძველი სამყაროს ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების რიგში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ განვითარების პირველ ეტაპზე ადამიანი გაგებული და დანახულია როგორც ზებუნებრივი, ძირითადად მდედრობითი ნაყოფიერების ძალის ერთ-ერთი გამოხატულება; მისი მხატვრული სახე შექმნილია სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ელემენტების პლასტიკური-დეკორატიული ორგანიზაციის გზით.

ამ სახემ სხვადასხვა ვარიაციით იარსება ორი ათას წელზე მეტ ხანს, მხოლოდ, ძვ. წ. IV ათასწლეულისთვის, როცა სამხრეთ კავკასიაში საბოლოოდ დამკვიდრდა პატრიარქალური გვარი, პირობითი ხასიათის ანთროპომორფული გამოსახულებების გვერდით გაჩნდა ასე ვთქვათ რეალური ადამიანის გარეგნობის მქონე ფიგურები, ე. ი. ისეთები, რომლებსაც გააჩნიათ ადამიანის სხეულის ყველა ნაწილი. ცხადია, ანთროპომორფული სახით აქ კვლავ ნაყოფიერების მფარველი ძალა — ღვთაებაა წარმოდგენილი, მაგრამ ამიერიდან, თითქმის ყოველთვის, ეს არის მამაკაცი-ღვთაება. მართლაც ამ დროს, ე. ი ადრეული ბრინჯაოს ხანაში არსებობს, ერთი მხრივ, უკიდურესად გამარტივებული, გეომეტრიზებული და დეკორატიულად დახვეწილი მამაკაცი — ღვთაების სიმბოლური ფიგურები, მაგალითად — კერის ე. წ. ნალისებური სადგრები, რაც ძველთაძველი ტრადიციის გაგრძელება-განვითარებად უნდა მივიჩნიოთ, მეორე მხრივ — თოჯინის მსგავსი თიხის ფიგურები, ზოგჯერ საზეიმოდ შემოსილი, თავსაბურავით მორთული, როგორც ქვაცხელაზე, ზოგჯერ კი შიშველი, როგორც ხიზანაანთ გორაზე. სრულყოფას ეს ახალი სახე აღწევს შუა ბრინჯაოს ხანაში, თრიალეთის ვერცხლის სასმისის დაბალი რელიეფით შესრულებულ სიუჟეტურ ფრიზზე, სადაც ის აშკარად ატარებს მცირე აზიის ხელოვნებასთან მჭიდრო კონტაქტის კვალს. სავსებით რეალისტურად წარმოდგენილი, მხოლოდ თავისებური ატრიბუტებით (ცხოველის ნიღაბი და კუდი) აღჭურვილი ადამიანი აქ გამოხატავს ნაყოფიერების ღვთაებას; მის დაყენებაში, მოძრაობაში და დეტალების დამუშავებაში ძველი აღმოსავლეთის არქაული მონუმენტური ხელოვნების აშკარა გავლენა შეიმჩნევა.

რკინის ხანის დამდეგიდან ადამიანის შინაარსობრივ და მხატვრულ გააზრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. წარმოიშვება ღვთაებაგმირის ანთროპომორფული სახე — შიშველი მამაკაცი — ღვთაების გარკვეული ტიპი, რომელიც თითქმის უცვლელად არსებობს ქრისტიანულ ხანამდე. მნიშვნელოვანია, რომ ამიერიდან ფიგურები ძირითადად ბრინჯაოსა და რკინისგან მზადდება, მხოლოდ ცვილის მოდელის გამოყენებით, რამაც მათ შეუნარჩუნა ცოცხალი ხელით ძერწვის განუმეორებელი მიმზიდველობა. გამოსახულება არამარტო რეალისტურია იმ აზრით, რომ გააჩნია სხეულის ყველა ნაწილი, არამედ ზოგიერთი მათგანი, უმთავრესად სქესის მაჩვენებელი ნიშანი, ნატურალისტური სიზუსტითაა ხოლმე გადმოცემული. ფიგურები თავისებურადაა სტილიზებული, დარღვეულია პროპორციები — გადიდებულია თავი და კიდურები და სხვა, — ამასთანავე სქემატიზებულია, რაც ექსპრესიულობის გაძლიერებას ემსახურება, და ხშირად აღჭურვილია

ეროვნული ბიბლიოთეკა









თიხის ფიგურა შულავერის გორადან.

თიხის ფიგურა, ხრამის დიდი გორადან.

კერის ანთროპომორფული სადგარი ნასოფლარ ამირანის გორადან.

თიხის ფიგურა ნასოფლარ ქვაცხელებიდან.

Глиняная фигурка. Шулаверис гора.

Глиняная фигурка, Храмис диди гора.

Антропоморфная очажная подставка. Селище Амиранис гора.

Глиняная фигурка, селище Квацхелеби.



ბრინჯაოს ფიგურა მელაანიდან.

Брснзовая фигурка. Мелаани.



ნათლიღება, წებელდის კანკელის ფრაგმენტი.

Крещение. Цебелда. Фрагмент иконостаса.

სხვადასხვა ატრიბუტით, რომლებიც გამოხატავენ ნაყოფიერებას, უფლებასა და ძალას — საკისრე რკალი, სარტყელი, კვერთხი, ყანწი, საბრძოლო იარაღი და მისთანანი. ამ მხრივ ყველაზე ტიპიურია მელაანის დიდი ფალიკური ფიგურა, რომელიც შედარებით მცირე ზომის მიუხედავად, საერთო მხატვრული გადაწყვეტითა და შესრულების ხასიათით მონუმენტურ ქანდაკებას მოგვაგონებს; ეს არის ნაყოფიერების მეომარი ღვთაება-გმირი, რომელიც ყველა ნიშნით უახლოვდება ტომის მეთაურის სახეს.

ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ანთროპომორფული გამოსახულების ეს ტიპი თანდათანობით ჰკარგავს ღვთაების მკაცრ გარეგნობას. ეს უკვე არის რეალური ადამიანი, რომელიც აღჭურვილია ღვთაებრივი ნიშნებით და ატრიბუტებით და მოქმედებს რეალურ გარემოში და სიტუაციებში;

სტატიკურის ნაცვლად მსგავსი ფიგურები ძლიერ დინამიურია და ხშირად თითქოს მოითხოვენ მოქმედების თანამონაწილეს. ასეთებია, მაგალითად, ყაზბეგის განძის შტანდარტის თავების დიდი ფალიკური ფიგურები. ამიტომაა, რომ როცა მათგან იქმნება შინაარსობრივად და კომპოზიციურად შეკრული ჯგუფები, როგორც მაგალითად იმავე ყაზბეგის განძის შტა-

ნდარტების მცირე ბუნიკებზე, აშკარად საკრალური შინაარსისა და ჰეროიკული აზრის მიუხედავად, მათ ცხოვრებისეული, თითქმის ჟანრული სცენის ხასიათი ეძლევათ. ზემოაღნიშნული პროცესის დაჩქარებაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა კონტაქტს ანტიკურ ხელოვნებასთან, რომელიც თან მოჰყვა ბერძნულ-რომაულ და ელინიზებულ აღმოსავლურ სამყაროსთან მჭიდრო ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას. ამის შედეგი იყო, რომ გვიანანტიკურ ხანაში მცირე ხელოვნების ერთ-ერთ დარგში — გლიპტიკაში ადგილობრივმა ოსტატებმა ადამიანის გამოხატვაში პორტრეტულობასაც კი მიაღწიეს (პიტიახშების ასპარუგის, ზევახის, არშუშასა და სხვათა გამოსახულებები); მაგრამ ეს მაინც დარჩა უცხო ხელოვნების დროებით მოდურ გავლენად, რომელიც არსებითად არ შეეხო ადგილობრივ ტრადიციას — განვითარების ამ საფეხურზეც ადამიანის თემა არ გასცილებია კულტის სფეროს, თუმცა ადამიანი უკვე დანახულია როგორც რეალური არსება, აღჭურვილი საკრალური ატრიბუტებით. შესაბამისად შეცვლილია გამოსახულებათა შესრულების მანერა, სტილი — პლასტიკურის ნაცვლად აქ ის უკვე ცხოველხატულია. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქართული ისტორიული წყაროების ცნობა იმის შესახებ, რომ, თითქოს, მცხეთაში იდგა რკინის, სპილენძის, ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი თვლებისაგან დამზადებული წარმართული ღმერთების მონუმენტური ქანდაკებები, რომლებიც ბრწყინავდა და მოძრაობის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდა.

ქვეყნის ფეოდალიზაციამ და სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის აღიარებამ ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან სახვითი ხელოვნება ახალი იდეოლოგიის სამსახურში ჩააყენა და მის წინაშე ახალი ამოცანები დასახა. პლასტიკის დანიშნულებად იქცა ქრისტიანობის იდეების პროპაგანდა კულტთან დაკავშირებული მემორიალური და არქიტექტურული ძეგლების სკულპტურული დეკორის მეშვეობით. ამ უკანასკნელის თემები აღებული იყო ერთი მხრივ საღმრთო ისტორიიდან, მეორე მხრივ რეალური გარემოდან, სადაც ძირითადი ადგილი შესაბამისად დათმობილი ჰქონდათ ქრისტეს-განკაცებულ ღმერთს, ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟებსა და ადგილობრივი ფეოდალური საერო და სასულიერო მმართველი არისტოკრატიის წარმომადგენელთა სახეებს; პირველი, მზამზარეულად გარედან შემოიტანა ქრისტიანობამ, მეორე შეიქმნა ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე, თუმცა ატარებს სასანური ოფიციალური ხელოვნების საგრძნობი გავლენის კვალს. ასეთ ვითარებაში ადამიანის გამოსახულებამ საბოლოოდ დაიმკვიდრა პირდაპირი აზრი, როგორც კონკრეტული პიროვნების მხატვრულმა სახემ; ღვთაებაც და მასთან დაკავშირებული პერსონაჟები, ისევე როგორც რეალური ისტორიული პირები, წარმოდგენილია ჩვეულებრივ ადამიანებად, მხოლოდ გარკვეული დროიდან პირველებს გამოარჩევს სიწმინდის ესა თუ ის ნიშანი — შარავანდედი, ტანსაცმელი, ვნების იარაღი და სხვა სარწმუნოებრივი სიმბოლო, მეორეებს — მდგომარეობისა და უფლების ესა თუ ის მაჩვენებელი — შტანდარტი, ყვავილი, ტანსაცმელი და თავსაბურავი, ჟესტიკულაცია და მისთანანი.

ადამიანის შინაგანი ბუნებისა და მხატვრული სახის გაგებაში, როგორც ვხედავთ, წინასაფეხურთან შედარებით არსებითი ცვლილება არ მომხდარა; დიდი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ ამიერიდან მასში იგრძნობა მეტი უშუალობა, ადამიანური საწყისი, განწყობილება, რაც კარგად ჩანს ადრექრისტიანული ხანის სტელების სიუჟეტურ რელიეფებზე და მცირე ფორმის პლასტიკის სხვა ნიმუშებზე. თვით მონუმენტურ რელიეფურ ქანდაკებაში, ოფიციალური ხასიათის ისეთ სცენებშიც კი, როგორიც ამკობს მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის ფასადებს, საზეიმო განწყობილებასთან ერთად, რასაც ქმნის ღრმად გააზრებული მათი კომპოზიციური გადაწყვეტა, იგრძნობა, ასე ვთქვათ, ადამიანური დამოკიდებულება გამოსახულ პერსონაჟებს შორის; ქტიტორები ისევე მიმართავენ ღვთაებასა და წმინდანს, როგორც ჩვეულებრივი ვასალი სიუზერენს; ამრიგად აქ შექმნილია პიროვნებების ინდივიდუალური თუ არა, ერთგვარი სოციალური პორტრეტები მაინც.

გ. ჩუბინაშვილმა დაადგინა. რომ ქართულ პლასტიკაში VIII საუკუნიდან იწყება უცხო გავლენის შედეგად დამკვიდრებული მხატვრული ფორმების დაძლევის პროცესი — მოცულობითობას ცვლის სიბრტყობრივობა და ხაზობრივობა, წინ იწევს წმინდა დეკორატიული ამოცანები; შესაბამის ცვლილებას განიცდის ადამიანის პლასტიკური გამოსახულებაც — ის თავისუფლდება გარედან შეთვისებული ფორმებისგან და სპეციფიკურ დეკორატიულ ექსპრესიულობას იძენს. ამან „...ნიადაგი გაუნთავისუფლა, შესაძლებელი გახადა ქანდაკების ორგანული განვითარება, ე. ი. თანდათანობითი შეგნება სამყაროს სკულპტურული გააზრების პრობლემისა, ნამდვილად მოცულობითი გადაწყვეტის ძიებისა და მათი დაზუსტებული ამოცანების თანმიმდევრული დაყენება“[1]. X საუკუნისათვის ამ პროცესმა უკვე გამოიღო ნაყოფი. გამოსახულება ხდება სივრცობრივი, ფიგურა თავისუფლდება, ამოდის სიბრტყიდან ჯერ როგორც გეომეტრიზებული, ბლოკისებური მოცულობა, შემდეგ — როგორც თითქმის სავსებით მრგვალი სკულპტურა, მოდელირებული მოცულობებითა და ფორმებით; ტბეთისა და ოშკის ტაძრების ფასადების დეკორი ამისი შესანიშნავი გამოხატულებაა[2].

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ძეგლების ანალიზი ცხადყოფს, რომ განვითარების გრძელი გზა, რომელიც ადამიანის სახემ განვლო საქართველოს უძველესი ხანის ხელოვნებაში, რთული, მაგრამ ძირითადად თანმიმდევრული იყო. მთავარ ხაზებში ის მისდევს ძველი სამყაროს ხელოვნების განვითარების ხაზს, ემორჩილება იმავე შინაგან ლოგიკას, რომელიც გამომდინარეობს-რა საზოგადოების სოციალ-ეკონომიური განვითარების მიმართულებიდან, განსაზღვრავს მას. ამავე დროს მას ისეთი თავისებურებები ახასიათებს, რომლებიც უძველესი დროიდან განსაკუთრებით მჭიდროდ აკავშირებენ წინა აღმოსავლეთის ხელოვნების მცირეაზიულ წრესთან, რომელშიც ის შედის როგორც დამოუკიდებელი, ჯერ ზოგად-კავკასიური, ძვ. წ. I ათასწლეულიდან კი ქართული ხელოვნების სპეციფიკური მოვლენა; სწორედ ამ უკანასკნელის წიაღში, ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციის პირობებში, მიაღწია მან სრულყოფას.

---

[1] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, стр. 605.

[2] Н. А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии, М., 1977, стр. 87, 88, 120-132, рис. 71, 122, 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ყიფიანი

# ცალკეული არქიტექტურული დეტალები ვანის ნაქალაქარიდან

ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მრავლად აღმოჩნდა ანტიკური ხანის ცალკეული არქიტექტურული დეტალები, რომლებიც საგრძნობლად არიან დაშორებული თავიანთ თავდაპირველ მდებარეობას ნაქალაქარზე მტრის მრავალგზის შემოსევებისა და ამის გამო არქიტექტურულ ნაგებობათა ნგრევის შედეგად. დიდი ნაწილი კირქვის არქიტექტურული დეტალებისა ფეოდალურ ხანაში განადგურდა საგანგებოდ მათ გამოსაწვავად გამართულ საკირეებში. გარდა ამისა, მომდევნო ხანებში ადგილობრივი მოსახლეობა სამშენებლო მასალად იყენებდა იმ კვადრებსა და არქიტექტურულ დეტალებს, რომლებიც მიწის ფენით დიდად არ იყო დაფარული და ამიტომ, ამდაგვარი დეტალების მოპოვება არქეოლოგიური გათხრების გარდა ზედაპირულადაც ხერხდება თანამედროვე სახლის კედლის წყობაში თუ სახელდახელოდ გამართულ ყორეში, ფეოდალური ხანის კირის გამოსაწვავ ქურაში თუ ადგილობრივი მოსახლის ეზოში.

ამ დეტალების ფუნქციონალური თვალსაზრისით განხილვის შედეგად ადვილდება წარმოდგენა ელინისტური ხანის იმ მონუმენტურ ნაგებობათა მხატვრული და კონსტრუქციული სახისა, რომლებიც თითქმის მთლიანადაა განადგურებული. ამას გარდა ზოგიერთი არქიტექტურული დეტალი შთაბეჭდილებას გვიქმნის ნაგებობათა ცენტრალურ და ზედა სტრუქტურაზე, რომელთა წარმოდგენა მათი დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ჩვენამდე უმეტეს შემთხვევაში ნაგებობათა საძირკვლის და ცოკოლის წყობანია შემორჩენილი.

ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე ერთ-ერთი მოსახლის კარ-მიდამოში 1970 წელს მიკვლეულ იქნა კირქვის არქიტექტურული დეტალი. იგი ყორეში იყო ჩაშენებული. მისი პროფილი ე. წ. ქუსლს უახლოვდება; ნახ. 1. უფრო სწორედ, იგი ლილვისა და წრეთარგის შეუღლების შედეგად მიღებული არქიტექტურული ფორმაა, რომელიც ზემოდან აბაკითაა საბოლოოდ დასრულებული. აბაკის თაროსებური პროფილი სარტყელისებურად გასდევს ორ, ვიწროსა და გრძელ გვერდს, მისი დანიშნულება შეიძლება გააზრებულ იქნას, როგორც პილონის კაპიტელისა. მსგავსი არქიტექტურული ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება გვიანკლასიკურ და ელინისტურ ხანაში ამ დანიშნულებით[1]. მათ ზემოდან უნდა დაყრდნობოდა კარის ღიობის გადამხურავი არქიტრავი. ვანში აღმოჩენილი ამ დეტალის მიკუთვნებას შენობის სხვა ნაწილისადმი (მაგ. კარნიზისადმი)აძნელებს თუნდაც ის, რომ მას არა აქვს ისეთი ბუდეები, რომლებიც გამოდგებოდა რამდენიმე ასეთი დეტალის ჰორიზონტალური გადაბმისათვის, რაც კარნიზის ასაწყობად იქნებოდა საჭირო. ამ დეტალს აბაკის ცენტრში აქვს კვადრატული ღრმა პაზი, რის საშუალებითაც ალბათ მასზე არქიტრავი მაგრდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1. Фото 1.



სურ. 2 Фото 2.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე რამდენიმე სვეტის ბაზაა ნაპოვნი. ესენი მცირე ზომის სვეტთათვის განკუთვნილი ბაზებია, კირქვისაგან გამოკვეთილი. ერთ-ერთი ბაზა 1967 წელსაა ნაპოვნი. (სურ. 1).

იგი მთლიანი სახითაა შემორჩენილი, თუმცა ძლიერაა გაცვეთილი. მისი ზედაპირის დიამეტრი 25 სმ-ია, ზედაპირის ნახევარი კანელურებითაა დანაწევრებული. ზედა და ქვედა ლილვების ურთიერთმაკავშირებელი დეტალი საკმაოდ მაღალია, მას სკოციის პროფილი აქვს ვანში აღმოჩენილი სხვა ამავე ტიპის ბაზებისაგან განსხვავებით. მისი ზედაპირი ღრმა ცილინდრული პაზითაა ალჭურვილი.

ეს ბაზა შემადგენელი ელემენტებითა და ფორმით ბაზების ე. წ. ატიკურ ტიპს განეკუთვნება, საყოველთაოდ გავრცელებულს გვიანელინისტურ ხანაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 3



ფოტო 3

ბაზების ამავე ტიპს იმეორებს კიდევ ერთი პატარა ნატეხი ბაზისა, სიმაღლეში იგი ბევრად დაბალია ზემოთ აღწერილ ბაზასთან შედარებით, მაგრამ ზედაპირის დიამეტრი აქაც 25 სმ-ია და ასევე კირქვისაგანაა დამზადებული ლილვების მაკავშირებელ ფორმად აქ ცილინდრია გამოყენებული.

ამავე დიამეტრის ზედაპირი აქვს კიდევ ერთ ბაზას ვანის ნაქალაქარიდან. ნახ. 2. ტიპოლოგიურად იგი განსხვავდება ზემოთ აღწერილი ბაზებისაგან. იგი გეგმაში მრგვალი პლინტუსითაა აღჭურვილი, ისიც კირქვისაა და ზედაპირის ცენტრში ცილინდრული არაღრმა პაზი აქვს სვეტის ჩასამაგრებლად განკუთვნილი. ეს ბაზა თავისი იერსახით ე. წ. ატიკურ-იონური ბაზების ტიპს განეკუთვნება. ამ ტიპის განმსაზღვრელი ბაზის შემადგენელ ელემენტთა ისეთი თანმიმდევრობაა (ლილვი-სკოცია-პლინტუსი), როგორც ეს ვანის ბაზაზეა დადასტურებული. ბაზების ამ ტიპის თვალსაჩინო ნიმუში გვაქვს ოლიმპიაზე ფილიპეიონში. აქაც ბაზის შემადგენელ დეტალთა იგივე თანმიმდევრობაა დაცული. მოგვიანებით ბაზების ამ ტიპს წარმატებით იყენებს მცირეაზიის ელინისტური არქიტექტურაც, კუნძულ სამოთრაკიაზე ზემო იარუსის სვეტებიც ასეთივე ბაზებს ეყრდნობიან და ამასთანავე იქ, ვანში აღმოჩენილი ბაზის ანალოგიურად პლინტუსიც მრგვალია[2].

საყურადღებოა ატიკური ფორმების ერთგვარი სიმრავლე ვანში. ამ მხრივ შესაძლოა ნიშანდობლივი იყოს ის გარემოება, რომ მცირეაზიის გვიანელინისტურ ხუროთმოძღვრებაში ატიკური არქიტექტურული ფორმების თვალსაჩინო სიმრავლე შეინიშნება[3].

ზემოთ განხილული ბაზები მცირე ზომის ტაძართა ან საკურთხეველთათვისაა განკუთვნილი, მოდულურ სისტემაზე დაყრდნობით სვეტების სიმაღლე მხოლოდ 2,50 მ შეიძლება ყოფილიყო. ამავე სიმაღლის კოლონადას განეკუთვნებოდა ვანის ნაქალაქარზე ნახ. 3. სხვადასხვა წლებში აღმოჩენილი სვეტის რამდენიმე ქვის დოლი. მათი ფუძეებიც 25 სმ ტოლია, დო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახაზი 1

Чертеж 1.



ნახაზი 2

Чертеж 2.

ლები მთლიანი სახითაა შემორჩენილი. მათი მთლიანობა კი საზღვრავს დოლების რაოდენობას 250 მ-ის სიმაღლის სვეტში (იხ. რეკონსტრუქცია). ნახ. 4. დოლების ფუძეებზე შეინიშნება პაზები მათი ერთმანეთთან ვერტიკალურად დაკავშირებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა









ნახაზი 3
Чертеж 3.

ნახაზი 4
Чертеж 4.

ნახაზი 5.

Чертеж 5.

ნახაზი 6.

Чертеж 6.





გარდა ამ დოლებისა, ვანში ქვედა ტერასაზე მოკვლეულ იქნა კიდევ ერთი დოლი. მისი დიამეტრი 60 სმ-ია, გათხრების დროს შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ იგი ზემოდან, ცენტრალური ტერასიდან იყო დაგორებული.

რამდენადმე ჭირს მისი ანტიკურ არქიტექტურულ დეტალად მიჩნევა. ამას აძნელებს მისი დიამეტრი 60 სმ, — რაც არ შეესაბამება ვანის ნაქალაქარზე ორდერულ სისტემაში მოდულად გამოყენებულ განზომილებებს. შესაძლოა იგი ეკუთვნოდა ცენტრალურ ტერასაზე არსებულ და ამჟამად ნაგრევებად ქცეულ ადრექრისტიანული ხანის ეკლესიას, მით უფრო, რომ ამ ნაგებობაში ნაპოვნი სვეტის ბაზის ზედაპირის დიამეტრიც სწორედ 60 სმ-ია. ეს დოლი ანტიკურ არქიტექტურულ დეტალთან მსგავსებას ამჟღავნებს ზედაპირზე ამოკვეთილი პაზით ლითონის სამაგრისათვის და აგრეთვე არხით, რომელიც გამდნარი ტყვიის სადინრად იყო განკუთვნილი, რათა პაზში ლითონის სამაგრი გაჭედილიყო, მაგრამ სვეტის დოლების გადაბმის მსგავს წესს ადრექრისტიანული არქიტექტურაც წარმატებით იყენებდა[5].

სხვადასხვა წლებში ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩნდებოდა კირქვის მოჩუქურთმებული ფრაგმენტები. რეკონსტრუქციის შედეგად გამოიკვეთა მისი ფორმა. იგი ორნამენტირებული ლილვია და ალბათ ბაზის ფუნქციას ასრულებდა. ნახ. 6. მაგრამ მისი დიამეტრი იმდენად მცირეა, რომ საეჭვოა მას კონსტრუქციული დანიშნულება ჰქონოდა და რომელიმე ნაგებობისათვის ყოფილიყო განკუთვნილი. შესაძლოა იგი რომელიმე მცირე ცილინდრულ საკურთხეველს ეკუთვნოდა. ასეთი საკურთხევლები საკმაოდაა ცნობილი ელინისტურ ხანაში და ხშირად მათი ბაზისები წნული ორნამენტითაა შემკული[6]. თვით ორნამენტის სახეც საკმაოდ გავრცელებულია ანტიკურ ხანაში. ესაა წნულისაგან შედგენილი ჩუქურთმა, რომელიც განაპირა არეებში მცირე ღილისებურ ბურთულებს აჩარჩოებს, ხოლო ცენტრალურ ზოლში უფრო მოზრდილ სამკუთხა ფორმებს. მსგავსი ორნამენტი ანტიკურ ხანაში გვხვდება კესონის საპირეთა შესამკობად. ორნამენტის იგივე ქარგა დასტურდება კუნძულ დელოსზე „სამთითას სახლის“ მოზაიკაზე — გეომეტრიული ორნამენტის მომჩარჩოებელ საპირეზე[7] და მრ. სხვ. მაგრამ თვით საწყისები ამ ორნამენტისა ადრეულ პერიოდებშია საძებნელი. ასეთივე ორნამენტითაა მოხატული სელინუნტში ერთ-ერთი ტაძრის ტერაკოტული სიმა. იქ ამ ორნამენტის ადრეულ ნიმუშებში ცენტრალურ ზოლში სტილიზებული სამფურცელა ყვავილები გამოიყოფა ერთრიგად მიმართული, ელინისტურ ხანაში, ამ ყვავილების გამარტივების შედეგად მიღებული სამკუთხა ფორმებისაგან განსხვავებით.

ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩნდა ორი სიმის სადინარი, ნახ. 7. რომელიც კირქვაში გამოკვეთილ ლომის თავების სკულპტურულ გამოსახულებებს წარმოადგენდნენ[8] და როგორც სჩანს ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებულ რომელიღაც მონუმენტურ ნაგებობას განეკუთვნებოდნენ. სამწუხაროდ გათხრებისას დადგინდა, რომ მათი აღმოჩენის ადგილი საკმაოდ უნდა იყოს დაშორებული მათ თავდაპირველ მდებარეობას, ხოლო თვით ნაგებობა, რომელსაც ეს არქიტექტურული დეტალები ემსახურებოდნენ ფუნქციონალური და მხატვრული თვალსაზრისით ჯერ არ გამოვლენილა. ეს დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახაზი 7. Чертеж 7.

ტალები თითქმის მთლიანი სახით არიან შემორჩენილი და მათზე ყველა კონსტრუქციული ელემენტი შეინიშნება. ეს ელემენტებია ფუძეზე განივი გამჭოლი ღარი, რომლითაც იგი ალბათ ნაგებობის დამამთავრებელი ფრიზის კონსტრუქციულ ნაშვერზე იყო ჩამოცმული და აგრეთვე ღრმა ვერტიკალური პაზი, რითაც იგი მტკიცედ უკავშირდებოდა სახურავს. ძირითადად ეს ელემენტები (განივი ღარი და პაზი) განაპირობებდნენ ამ სადინარების სიმაღლეზე დაფერდებულად მოთავსების შესაძლებლობას, რაც საჭირო იქნებოდა სახურავისეული წყლების დასაწრეტად.

აქვე აღმოჩნდა კიდევ ერთი, ლომის თავის მესამე ქანდაკება, მაგრამ მას არავითარი კონსტრუქციული დანიშნულება არ გააჩნდა და, როგორც ჩანს ნაგებობის დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენდა მხოლოდ. გარდა ამისა მასზე არ შემორჩა არავითარი კვალი ისეთი დეტალისა, რაც განსაზღვრავდა მის ნაგებობის რომელიმე სტრუქტურაში ჩამაგრების შესაძლებლობას.

ლომის თავის მრგვალ ქანდაკებებს ელინისტურ ხანაში, ჩანართების სახით იყენებდნენ კედლის ვერტიკალურ სტრუქტურაშიც, ასევე წყლის სადინრად, ასეთი მაგალითი ცნობილია ეურიალოსში, სირაკუზის მახლობლად , მაგრამ ასეთი სადინრების კედლის სტრუქტურაში ჩასამაგრებლად საჭიროა მხოლოდ საფუძვლის სწორი კუთხით გამოკუთხვა იმ კვადრის შესაბამისად, რომელსაც იგი უშუალოდ ეყრდნობოდა.

რაც შეეხება ვანში აღმოჩენილ ლომის გამოსახულებათა სკულპტურულ სტილს, მათში სხვადასხვა მხატვრული მემკვიდრეობის სინთეზი შეინიშნება.

1979 წელს ცენტრალურ ტერასაზე აღმოჩნდა მარმარილოს მცირე ზომის აკროტერიუმი. (ნახ. 5., სურ. 3.) იგი აღმოჩნდა, ფეოდალურ ხანაში, ცენტრალურ ტერასაზე გამართული ქურის მახლობლად. როგორც სჩანს ქურის დანიშნულება კირის გამოწვა იყო ანტიკური ხანის კირქვის არქიტექტურული დეტალებიდან, აკროტერიუმი კი რახან მარმარილოსი იყო, საკირეში არ მოხვდა და გადარჩა, თუმცა მისი ფუძე საკმაოდ დაზიანებულია იგი გათლილია, ალბათ იმის გასარკვევად თუ რა ჯიშის ქვასთან ჰქონდათ საქმე. ე. ი. გამოდგებოდა თუ არა გამოსაწვავად.

აკროტერიუმი მცირე ზომისაა, მისი სიმაღლე მხოლოდ 25 სმ-ია. საფიქრებელია, რომ იგი ერთ-ერთ იმ ნაგებობას, ან იმ ზომის ნაგებობას ამკობდა, რომლებსაც კირქვის მცირე ზომის ბაზები ეკუთვნოდნენ, (გავიხსენოთ, რომ ბაზების ზედაპირის დიამეტრიც 25 სმ-ია, რასაც ნაგებობისათვის მოდულის მნიშვნელობა ექნებოდა) აკროტერიუმი ნაგებობის სუპერსტრუქტურის ერთ-ერთ კუთხეს განეკუთვნება (და არა ფრონტონის ზედა, დამაგვირგვინებელ კუთხეს). მისი ორივე საფასადო მხარე აკანთისა და პალმეტის სტილიზებური გამოსახულებებითაა მორთული, აგრეთვე ჩიტების ჰორელიეფური სკულპტურებით. ორივე გვერდის მორთულობა მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ორივე მხარის რელიეფური მორთულობანი ერთმანეთის ინდენტურია, ისინი სარკისებურად არიან ერთმანეთისადმი მიმართულნი და განშლაში ერთ მთლიან კომპოზიციას წარმოადგენს.

აკროტერიუმის ფუძე პროფილირებულია, წრეთარგი უერთდება თაროსებურ სარტყელს, ის კი თავის მხრივ ლილვის სუსტად გამოხატულ პროფილს, ეს უკანასკნელი კი შეუღლებულია სარტყელთან.

კომპოზიციის ფუძე აკანთის ფოთლების გვირგვინია. იგი ხუთი ფოთლისაგან შედგება (ცენტრალური ფოთოლი en fase და ორ-ორი პროფილში), გვირგვინიდან მაღლა მიემართებიან ჰორელიეფური ღეროები, ქმნიან ხვიებსა და მთავრდებიან აკანთის ლანცეტური ტიპის ფოთლით. აკანთის გვირგვინიდან კიდევ ორი განაპირა ღერო მიემართება სიმაღლეში, ისინიც აკანთის ფოთლით მთავრდებიან, მათი ძირები ქვემოდ დაშვებულ ვარდულის ფურცლებს წარმოადგენს. ყოველი ფურცელი იონიკადაა გამოსახული. აკანთის ამ ფოთლების მოხრილ წვეროებს აკანთის ლანცეტური ფოთოლი იყრდნობს, ე. ი. ლანცეტური ტიპის ფოთოლი ამ აკროტერიუმშიაც დაახლოებით ისეთ ფუნქციას ასრულებს, როგორსაც ისინი კორინთულ კაპიტელებში ასრულებენ — ვოლუტთა საყრდენისას.

განაპირა ღეროები ორივე მხარეს ქმნიან ხვიებს, ამავე ღეროებიდან ქვემოთ ეშვება პალმეტის ტალღისებურ ფოთოლთა რიგი. ხვიების შემადგენელ ღეროებს ზემოდან ჩიტების ჰორელიეფური გამოსახულებანი ასხედან, ისინი კარგად ავსებენ აკროტერიუმის თვითოეული გვერდის სამკუთხა კომპოზიციაში აქ შექმნილ თავისუფალ არეებს .აკროტერიუმი გვირგვინდება პალმეტის ორი რიგით.

აკანთის ფოთოლთა მოდელირება ამ აკროტერიუმშიც ისეთივეა, როგორც ვანის კორინთულ-ფიგურულ კაპიტელებში, ე. ი. ფოთლის თვითოეულ ძარღვის სამკაპა წვეროებს შორის წვეთის ფორმის ჩაღრმავების წარმოქმნა. ფოთლის ეს ტიპი კი ყოველთვის მიუთითებს ერთ განსაზღვრულ

ქრონოლოგიურ პერიოდს, კერძოდ, გვიანელინისტურ ხანას. ამ პერიოდში აკანთის ფოთლის ეს ტიპი იმდენად ვრცელდება, რომ მას ამ სახით იყენებენ არა მხოლოდ კორინთულ კაპიტელებში, არამედ მექანიკურად გადააქვთ იონიური კაპიტელის ვოლუტთა გვერდების შესამკობად. იგივე სახის ფოთოლი გვხვდება ფრიზების მოსართავად და სხვ.

აღსანიშნავია აკროტერიუმის დამაგვირგვინებელი დეტალის — ორმაგი პალმეტის სახე. იგი ცდაა ორმაგი პალმეტის საყოველთაოდ გავრცელებული სახეების ბარელიეფურად წარმოსახვისა. ასევე საკმაოდ ხშირია ანტიკურ დეკორაციულ პლასტიკაში ფრინველთა გამოსახულებანი სწორედ აკანთის ორნამენტთან ერთად. ეს მოტივი თვით კონტინენტურ საბერძნეთშიც საკმაოდაა გავრცელებული. იქ ფრინველთა გამოსახულებებს აკანთის ორნამენტთან ვხვდებით ფრიზების მორთულობებში[9]. ცნობილია აგრეთვე აკროტერიუმები ჩიტების ქანდაკებებით კერამეიკოსიდან[10]. ვანის აკროტერიუმი ნათელ წარმოდგენას ქმნის ვანში არსებულ ტაძარ-სამლოცველოთა მხატვრულ სახეზე. იგი ელინისტური ხუროთმოძღვრული პლასტიკის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

ზემოთ განხილული ნიმუშები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ცალკეული არქიტექტურული დეტალებისა, რომლებიც ვანის ნაქალაქარზეა აღმოჩენილი და მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ ხერხდება ამა თუ იმ დეტალის რომელიმე ნაგებობისადმი მიკუთვნება, თვითოეული მათგანი მაინც მკაფიოდ ასახავს ელინისტური არქიტექტურისა და სამშენებლო საქმისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

---

[1] მაგ. ძვ. წ. IV ს-ის ბეოტიური ქალაქ სიფაის კარიბჭის ღიობები ამდაგვარი არქიტექტურული დეტალებითაა გაფორმებული. Ernst·Ludwig Schwarder. Die Bäotische Hafenstadt siphai. Archäologischer Anzeiger (AA) 1977. Helif 4, abb, 19, 23.

[2] A. Conze, A. Hauser, G. Niemann, Archäologische Untersuhungen auf Samothrake. B. II pl. 60–62.

Всеобщая история архитектуры (Виа), т. II, кн. I, М. 1949, стр. 315X317.

[3] Anton Bammer. Hellenistische kapitelle aus Ephesos. AM. Band 88, 1973, გვ. 234. G. Pavis Greek Altars Saint Louis, 1949, გვ. 148. Fig. 75.

[4] ოთ. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე (1960-61 წწ.) ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები, ვანი, თბ., 1972, გვ. 103, სურ. 27, 28.

[5] W. Wrede. Vom Misokampos auf Samos AM. Band LIV, 1929, გვ. 75.

[6] მაგ. ცილინდრული საკურთხეველი ათენიდან, რომელიც ძვ. წ. II-I სს-ს განეკუთვნება

[7] ВИА. М., 1949, т. II, кн. I, тнб., 148 г.

[8] ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1967 წელს. ვანი I, თბილისი 1972, გვ. 181, სურ. 144—149.

[9] Meurer. Das grichische Akanthusornament und Seine natürlichen Vorbilder. Jahrbuch des Deutschen Archaologischen Instituts, Band XI, 1896, s. 135, Fig. 28.

[10] Dicter Ohly. Krameikos-Grabung, tatigkeitsbericht, 1956–1961, AA. 1965. Helf 5, Band 80, s. 358, abb. 46.



ყორანთა. წყალსატევი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

Коранта. Водоем. Вид с северо-запада.

ლუიზა გვრიტიშვილი

## წყალსატევი ყორანთის ნასოფლარზე

დღევანდელ რაიონულ ცენტრ ბოლნისს ჩრდილო-დასავლეთიდან დაჰყურებს მთის წვერზე აღმართული მცირე დარბაზული ეკლესია, რომელიც ყორანთის წმინდა გიორგის სახელწოდებითაა ცნობილი. ეკლესია მეცნიერულად შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე ი. გომელაურმა და მიაკუთვნა იგი XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისს[1].

აქ, ამ ეკლესიის მისადგომებთან შუასაუკუნეებში სოფელი ყორანთა არსებულა. ისტორიული დოკუმენტების თანახმად იგი საკათალიკოსო მამული იყო და უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იჯდა კათალიკოსის წარმომადგენელი, რომელიც დმანისის ხეობაში შემავალ საკათალიკოსო კუთვნილ მამულებს მართავდა. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს საკმაოდ ძლიერი, ცამეტბურჯიანი ციხე-გალავნის არსებობა ეკლესიის გარშემო.

არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ ყორანთის ნასოფლარი მდებარეობს ციხის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მთის ფერდობებსა და მთის ძირას. სოფლის არსებობაზე აქ მხოლოდ რელიეფის თავისებურებანი და ძველი ნაგზაურები მიუთითებენ. ანაკრეფი მასალაც — თიხის ჭურჭლის ნატეხები, ხელსაფქვავები — ამაზე მეტყველებს. მიწის ზემოთ გადარჩენილი ერთადერთი ნაგებობა ნასოფლარის ტერიტორიაზე არის ქვიტკირის წყალსატევი.

წყალსატევი მდებარეობს ეკლესიის ჩრდილოეთით, იქ, სადაც ფერდობი მთავრდება და იწყება შევაკება. იგი მართკუთხედის ფორმის ნაგებობაა. ოდესღაც მთლიანად თლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული, მოპირკეთება მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლების

ეროვნული ბიბლიოთეკა




წყალსატევის გეგმა.

План водоема.

ზეძირკველზეა შერჩენილი. სხვაგან ქვის ბუდეებილა შერჩა. მოპირკეთების წყობა ნებისმიერი იყო. რიგების ჰორიზონტულობა დაცული არ ყოფილა. ამ მხრივ და მოსაპირკეთებელი ქვის ხასიათითაც წყალსატევი ყორანთის ეკლესიას წააგავს.

როგორც ვთქვით, წყალსატევი გეგმაში მართკუთხედი ფორმისაა და ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ფერდობის მიმართულებით. მისი შემორჩენილი ზომებია: 3,10×1.80×2.30 მ. წინა, ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი ჩამონგრეულია. სულ ახლახან ვიღაცას აქ ყორე მიუშენებია და წყალსატევი მწყემსთა თავშესაფრადაა ქცეული.

წყალსატევის ქვედა ნაწილი—საკუთრივ აუზი— კედლებიდან მცირე საფეხურითაა (სიგანე 0,2 მ) გამოყოფილი და მოლესილია მკვიდრი კირხსნარით. ამჟამად აუზის ზომებია: 1,84×1.30×0,6 მ. მისი პირვანდელი სიღრმის დადგენა მხოლოდ გათხრების შემდეგ შეიძლება. აუზში წყალი შემოდიოდა სამხრეთ-დასავლეთ კედელში დატანებული კერამიკული მილით. მეორე ასეთივე მილი (მილის დიამეტრია 0,08 მ), პირველზე ოდნავ უფრო დაბლა, დატანებულია აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში. ამ მილით წყალი გადიოდა აუზიდან. აუზი გადახურულია ცილინდრული კამარით, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ კედელზე მიდგმულ ნახევარწრიულ თაღს ეყრდნობა. თაღი კარგად გათლილი სამი სოლისებური ქვისაგანაა შედგენილი.

წყალსატევი შუასაუკუნეების საკმაოდ საინტერესო საინჟინრო ნაგებობაა, რომლის მსგავსი ძეგლები არც თუ ისე ბევრია ჩვენამდე მოღწეული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა მისი აღრიცხვაზე აყვანა და დაცვა. მით უმეტეს, რომ მისი გაწმენდა და კონსერვაცია დიდ ხარჯებთან არ იქნება დაკავშირებული.

---

[1] ი. გომელაური, ყორანთა — შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლი, მაცნე, 3, 1966, გვ. 262-264.



სიმპოზიუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ქ. ბარიში.

Группа участников симпозиума в Италии.

ნუგზარ ანდღულაძე

## ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი იტალიაში

მიმდინარე წლის 14-18 ოქტომბერს იტალიაში ჩატარდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი.

პირველი სიმპოზიუმი, როგორც ცნობილია, მოეწყო აგრეთვე იტალიაში, ქ. ბერგამოში 1974 წელს, ხოლო მეორე ქ. თბილისში 1977 წელს. სწორედ მეორე სიმპოზიუმის საზეიმო დახურვის დღეს, 31 მაისს, გელათში, იტალიელმა მეცნიერმა მარია სტელა კალო მარიანიმ წინადადება შემოიტანა, რომ მესამე სიმპოზიუმი გამართულიყო სამხრეთ იტალიაში, ქ. ბარიში 1980 წელს. შემდგომში, სიმპოზიუმის ორგანიზატორებთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ მეცნიერთა ეს შეხვედრა გაიმართებოდა 1980 წლის ოქტომბერში ქ. ბარიში და ქ. ლეჩეში, პროვინცია აპულიის — სამხრეთ იტალიის ამ ორ მნიშვნელოვან ქალაქში.

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტმა ამ საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად იტალიაში მიიწვია წამყვანი სპეციალისტები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან (12), სომხეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან (2-2), თითო — ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმიდან, თბილისის სამხატვრო აკადემიიდან, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოდან და მოსკოვის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტიდან. მიწვეულთა შორის იყო აგრეთვე უცხოეთთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების „სსრკ—იტალიის“ განყოფილების გამგე. ამგვარად, საბჭოთა კავშირიდან სულ მიწვეული იყო 23 კაცი, მათ

შორის საქართველოდან 20. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე.

საბჭოთა დელეგაცია სიმპოზიუმის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდა იტალიაში და ეცნობოდა რომაულ, ბიზანტიურ და რომანული ხელოვნების დიდებულ ძეგლებს.

იტალიაში ყოფნის მთელ მანძილზე დელეგაციას მასპინძლობას უწევდნენ ქ. ბერგამოს უნივერსიტეტის სლავური ენისა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი, იტალიაში ქართული კულტურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილი ყოველი ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, დიდად განათლებული და ენერგიული ქალბატონი ნინო ყაუხჩიშვილი (ქ-ნი ნინო — ასე ეძახიან მას იტალიელები) და ადრიანო ალპაგო-ნოველო მილანოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი ბ-ნი ადრიანო ალპაგო ნოველო და მილანოელი არქიტექტორი ენძო ჰიბში უკვე მრავალი წელია ჩამოდიან საქართველოში და იკვლევენ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. სწორედ ამ „სამეულის“ და აკად. ვ. ბერიძის მეცადინეობით შეიქმნა ქ. მილანოში „ქართული კულტურის ცენტრი“, გაიმართა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი I და III სიმპოზიუმი, აგრეთვე ამიერკავკასიის ქვეყნების ხალხთა კულტურის, ისტორიის, ენისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო სიმპოზიუმი (1979 წლის მაის-ივნისში), გამოიცა I სიმპოზიუმის მასალები (კრებული იტალიაში გადაეცა III სიმპოზიუმის მონაწილეებს), აკად. გ. ჩუბინაშვილის საქვეყნოდ ცნობილი წიგნი „მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლები“ იტალიურ ენაზე, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომების კატალოგი და სხვა. იტალიელმა კოლეგებმა მოაწყვეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა დიდი გამოფენა, რომელმაც ტრიუმფით მოიარა თითქმის მთელი იტალია, იყო ბელგიაშიც და საერთო მოწონება და აღიარება ჰპოვა ევროპის ფართო მეცნიერულ წრეებში. ზემოთ დასახელებული იტალიელი კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან, აქვეყნებენ ნაშრომებს ქართული ხელოვნების საკითხებზე და დიდად უწყობენ ხელს ქართული კულტურის ფართო პოპულარიზაციას ევროპაში.

სიმპოზიუმის საბჭოთა მონაწილენი ორი დღე ეცნობოდნენ რომსა და მის დიდებულ ძეგლებს, შემდეგ გაემგზავრნენ სამხრეთ იტალიაში, სადაც დაათვალიერეს პომპეის, სალერნოს, პესტუმის, მეტაპონტოს, მატერასა და ალტამურას ანტიკური, ბიზანტიური, რომანული და რენესანსის დროინდელი ძეგლები.

14 ოქტომბერს ქ. ბარის უნივერსიტეტის „აულა მანიას“ დიდებულ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი. ხელოვნების ამ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მეცნიერები გდრ-დან, გფრ-დან, უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, რა თქმა უნდა, მრავლად იყვნენ მეცნიერები იტალიის სხვადასხვა ქალაქებიდან.

სიმპოზიუმი გახსნა ქ. ბარის უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ლუიჯი ამბროზიმ, რომელიც მიესალმა მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება დიდი პატივია როგორც ბარის უნივერსიტეტისათვის, ისე ქალაქის საზოგადოებისათვის. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს ფორუმი მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდება და იგი ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის მეგობრული და მეცნიერული კონტაქტების გაღრმავებას.

სიმპოზიუმის მონაწილეთ მიესალმა აგრეთვე ქ. ბარის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. მარია სტელა კალო მარიანი, ქალაქის მერის მოადგილე — „იტალია—სსრკ" საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელი, ბიზანტიური კულტურის ისტორიის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფ. ანდრე გიიუ, პროფ. ნინო ყაუხჩიშვილი. სომხური ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რ. ზარიანმა მადლობა გადაიხადა სიმპოზიუმზე სომეხ მეცნიერთა მოწვევისათვის (სხვათაშორის, 1981 წელს იტალიაში ჩატარდება სომხური ხელოვნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეცნიერებიც). აკად. ვ. ბერიძემ საბჭოთა დელეგაციის სახელით მადლობა მოახსენა ქ. ბარისა და ქ. ლეჩეს უნივერსიტეტების ხელმძღვანელობას საპატიო და საორგანიზაციო კომიტეტების წევრებს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის ამ ქალაქებში მოწვევისათვის, გულითადი მიღებისათვის და დიდი წარმატება უსურვა სიმპოზიუმის მონაწილეებს.

გაიმართა პლენარული სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ორი მოხსენება. პროფ. ნ. ყაუხჩიშვილის მოხსენების თემა იყო: „უძველესი ხალხური ელემენტები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ავანგარდისტულ მხატვრობაში", აკად. ვ. ბერიძისა — „X-XIV საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება".

იმავე დღეს გაიმართა ოფიციალური მიღება ქალაქის მუნიციპალიტეტში, სადაც ქალაქის მერის მოადგილემ ბევრი თბილი სიტყვა თქვა მონაწილეთა მისამართით და აღნიშნა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა და საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სიმპოზიუმის მონაწილენი კმაყოფილნი დარჩნენ აპულიაში გატარებული დღეებით. მან სამახსოვრო საჩუქრები გადასცა აკად. ვ. ბერიძეს, რომელმაც თავის მხრივ მადლობა გადაუხადა ქალაქის ხელისუფალთ და ქართული სუვენირები გადასცა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.

სიმპოზიუმის პროგრამით გათვალისწინებული იყო ხუთი სექციის მუშაობა. ეს სექციები იყო: ხუროთმოძღვრების, ფერწერისა და ქანდაკების, „მცირე ხელოვნებათა", „გამოქვაბულ ნაგებობათა" და „ქართული კულტურა და დასავლეთის სამყარო".

სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით, მეცნიერული მსჯელობის თემატიკა მოიცავდა X-XIV საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ამ დროის ხელოვნებათა საერთო

პრობლემებს. მსჯელობის საგნად იქცა აგრეთვე საკითხები, რომლებიც აშუქებდა საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, თანამედროვე მხატვრობას.

ქართველ მეცნიერთა მოხსენებები (სულ წაკითხული იქნა 17 მოხსენება) ეხებოდა X-XIV საუკუნეების ქართული საკულტო და საერო ხუროთმოძღვრების, მონუმენტური ფერწერისა და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ზოგადსა და კერძო საკითხებს. ეს მოხსენებები დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

ქ. ბარიში ყოფნისას, თავისუფალ დროს, სიმპოზიუმის მონაწილენი ეცნობოდნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. საღამოს პეტრუჩელის თეატრში მოეწყო ქალაქისა და უნივერსიტეტის ერთობლივი სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

16 ოქტომბერს სიმპოზიუმის მონაწილენი გაემგზავრნენ ქ. ლეჩეში. გზად დაათვალიერეს ჩერატეს, ოტრანტოს, კარპინიანოს ძეგლები. საღამოს ჩავიდნენ ქალაქ ლეჩეში, რომელიც აპულიის პროვინციის მეორე მნიშვნელოვანი ქალაქია. 17 და 18 ოქტომბერს სიმპოზიუმი მუშაობას აგრძელებდა უნივერსიტეტის (პალაცო პარლანგელი) შენობაში. აქაც იყო ოფიციალური მიღება მუნიციპალიტეტში, სადაც სიტყვით გამოვიდნენ ქალაქის მერი, ლეჩეს უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი პროფ. კოზიმო დამიანო ფონსეკა (სიმპოზიუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი) და აკად. ვ. ბერიძე. სიმპოზიუმის მონაწილეთათვის სანტა-მარია დელა გრაციეს ეკლესიაში გაიმართა მადრიგალისტთა ჯგუფის კონცერტი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, მონაწილეთათვის გაიმართა სადილი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

18 ოქტომბერს დღის მეორე ნახევარში შედგა სიმპოზიუმის საზეიმო დახურვა. სიტყვით გამოვიდნენ ლეჩეს უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. მარიო მარტი, პროფ. კ. ფონსეკა, პროფ. ა. ალპაგო-ნოველო, პროფ. ნ. ყაუხჩიშვილი. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ლუვენის (ბელგია) ხელოვნებისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა ტონი ჰაკენსმა (შემდეგ ის და ალპაგო-ნოველო ჩვენ დელეგაციასთან ერთად საქართველოში გამოემგზავრნენ), რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აუწყა იმის შესახებ, რომ სულ მოკლე ხანში ლუვენში გამოვა წიგნი შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის შესახებ, რომელშიაც მოთავსებულია აკად. ვ. ბერიძისა და ხუთი უცხოელი მეცნიერის ნაშრომები (მან თან ჩამოიტანა ამ წიგნის მშვენიერი პროსპექტი, რომელზედაც გამოსახულია სამთავისის ტაძრის და შატილის ხედები).

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა აკად. ვ. ბერიძემ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა სიმპოზიუმის ორგანიზატორებს გულითადი მიღებისათვის და იმ ატმოსფეროს შექმნისათვის, რამაც სიმპოზიუმის მონაწილეებს შესაძლებლობა მისცა მაღალ მეცნიერულ დონეზე წარემართათ მუშაობა. მანვე აღნიშნა, რომ სამი წლის შემდეგ, ტრადიციისამებრ, მეოთხე სიმპოზიუმი გაიმართება საქართველოში. ამით ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი საზეიმო ვითარებაში დაიხურა.

## სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქართველი მეცნიერის გ. ჩუბინაშვილის დაბადების 95 წლისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჩუბინაშვილი ქართული ხელოვნებათმეცნიერების დამწყებია და ამყვანი მსოფლიო ხელოვნებათმეცნიერების სიმაღლეზე. იგი იყო უდიდესი მეცნიერი, განსწავლული ფილოსოფიურად. ქართულ ხელოვნებათმეცნიერებას მან უძღვნა დიდი შრომები, რომლებშიც შემართებით და სისწორით გადაჭრილია უმნიშვნელოვანესი პრობლემები. შრომები აღსავსეა ღრმა შინაარსით, დიდი შემოქმედებითი ძალით, გვიჩვენებს უმაღლეს ერუდიციას.

გიორგი ჩუბინაშვილი წარმოშობით დაკავშირებულია ქართველ მეცნიერთა იმ ცენტრთან, რომელიც წარმოიქმნა რუსეთში XVIII-XIX საუკუნეებში დაწყებული ვახტანგ VI-დან. აქ მოღვაწეობდნენ ვახუშტი ბაგრატიონი, იოანე, ბაგრატი, დავით, თეიმურაზ ბაგრატიონები. აგრეთვე ნიკო ჩუბინაშვილი და დავით ჩუბინაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის პაპა.

ამ სამეცნიერო წრის ძირები გადაბმული იყო ძველ ქართულ სამეცნიერო ძირებთან და მასში ენერგიულად ღვივდებოდა სიყვარული სამშობლოსადმი.

ამავე დროს, ამ ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობა დაკავშირებული იყო რუსეთისა და ევროპის მოწინავე მეცნიერებთან.

გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა 1885 წლის 21 ნოემბერს პეტერბურგში, იურისტის ნიკო ჩუბინაშვილის ოჯახში. უმაღლესი სწავლა მიიღო ლაიფციგის უნივერსიტეტში. დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტი 1921 წელს, სპეციალობით: ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ხელოვნების ისტორია.

პეტერბურგში ჩასვლისას ისმენდა დიმიტრი აინალოვის ლექციებს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. 1914 წელს იბეჭდება მისი ნაშრომი საორბისის ტაძრის არქიტექტურის შესახებ.

რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში ქართული ენისა და საქართველოს შესწავლის მიზნით.

1916 წელს ხელმძღვანელობდა ანისის არქეოლოგიურ ექსპედიციას. 1917 წლიდან გ. ჩუბინაშვილი კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ნამდვილი წევრია.

1917 წლიდანვე გ. ჩუბინაშვილი გადმოდის საქართველოში. მუშაობს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში; კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში, ქართულ უნივერსიტეტში, როგორც ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კათედრის გამგე, საქართველოს მუზეუმში არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორად, ხელოვნების მუზეუმ „მეტეხში" ხუროთმოძღვრების განყოფილების გამგედ, ხოლო 1941 წლიდან, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებიდან, მის დირექტორად, გარდაცვალებამდე 1973 წლის 14 იანვრამდე.

დაკვირვებებმა ქართულ ძეგლებზე და უცხოეთში მოგზაურობამ ცხადი გახადეს მისთვის ქართული ხელოვნების თვითმყოფადი, დამოუკიდებელი სახე.

უმდიდრესი ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევისას აღებული იყო მეთოდი დათარიღებულ ძეგლებიდან სტატისტიკურად ანალოგიურ დაუთარიღებელზე გადასვლისა. ძეგლთა უმრავლესობა მოთავსდა თავის წარმოშობ ეპოქაში.

შეიქმნა დიდი ტილოები ქართული არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ფაზების მოცემით: ადრექრისტიანული არქიტექტურა: კლასიკური სტილი, მისი მწვერვალით — მცხეთის ჯვრით; გარდამავალი ხანა კლასიკურიდან ცხოველსახულ სტილამდე; ცხოველსახული სტილის ძეგლები — დიდებული კათედრალები; კვლავ გარდამავალი ხანა — როდესაც განსაკუთრებით დაფასდა ძველი ტრადიციები; გვიანი ფეოდალური ხანა — როდესაც არქიტექტურის საკუთარი სახის შენარჩუნების მიუხედავად, მაინც ჩანს საზოგადოების ზედა წრის ლტოლვა უცხოურ-ირანულ არქიტექტურისაკენ, იმ დროს, როდესაც ხალხური არქიტექტურა უკეთ იცავს ძველ ტრადიციებს; ახალი, XIX საუკუნის არქიტექტურა, როგორც შესავალი საბჭოთა არქიტექტურისა თავისი ამოცანებით.

ირკვევა იმთავითვე მკვეთრი თავისებურებანი, მეზობელ ხალხთა არქიტექტურასთან შედარებით.

გამოვლენილია ქართული სამეკლესი-

ანი ბაზილიკები, რომლების სამშობლოც საქართველოა.

თანდათანობით, კვლევის შედეგების გამოვლენისას, საყოველთაოდ ცხადი შეიქმნა რომ ქართული შუასაუკუნეობრივი არქიტექტურის შესწავლის გარეშე არ შეიძლება სხვა ქვეყნების ქრისტიანული არქიტექტურის შესწავლა და რომ ქართული ძეგლები დგება მსოფლიო არქიტექტურის შედევრთა რიგში.

კიდევ ერთი დიდებული შტრიხი: ქართული არქეოლოგიის მიერ ახლად ალმოჩენილ ძევლთა წყალობით გიორგი ჩუბინაშვილი ამყარებს კავშირს ქართულ არქიტექტურასა და უძველეს წინააზიურ არქიტექტურას შორის.

ყველა ამ ეტაპის წარმოჩენა დამყარებულია მტკიცე ისტორიულ საფუძველზე.

კვლავ უდიდესი ღვაწლი მიუძღვის გიორგი ჩუბინაშვილს ქართული ოქრომჭედლობის შესწავლის საქმეში. ისტორიამ შემოგვინახა ძალიან დიდი რაოდენობა ამ ხელოვნების საგნებისა, წინათ მათი შესწავლა მიმდინარეობდა მხოლოდ არქეოლოგიის თვალსაზრისით, ახლა კვლევა წარიმართა სტილის მიხედვითაც, რის გამოც მრავალი მხატვრული ღირებულების საგანი დაჯგუფდა ეპოქებისა და სტილის მიხედვით.

გიორგი ჩუბინაშვილის ერთ-ერთ უდიდეს ალმოჩენას შეადგენს დადგენა, რომ სვანეთის ოქრომჭედლობის საგნები არა მხოლოდ დაცულია სვანეთში, არამედ შექმნილია თვით სვანეთის ხელოვანთა მიერ. ამ დადგენით სვანეთის საგანძურის როლი ხელოვნებაში განუზომლად იზრდება.

გიორგი ჩუბინაშვილის შრომებში გარკვეულია ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ეტაპები. ამასთანავე დიდად მნიშვნელოვანი დაკვირვებით ეხება ქვისა და ხის სკულპტურის პრობლემას.

დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრების შესწავლისას, გიორგი ჩუბინაშვილი დიდმნიშვნელოვნად შეეხო „დავით-გარეჯული ფერწერული სკოლის“ ნიმუშებს. საზოგადოდ, მისი მუდმივი დაუზარებელი ყურადღება მიპყრობილი იყო პრობლემებზე, რომლებიც მუშავდებოდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში: არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, ოქრომჭედლობა, ქვის რელიეფები, ხეზე მხატვრული კვეთა, მინიატურები, მინანქრები, ქსოვილები, ნაქარგობა, გემმები, საბეჭდავები.

ქართული ხელოვნების ძეგლების დაცვა მისი ზრუნვის მუდმივ საგანს შეადგენდა. მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით, მაღალ-მეცნიერულ დონეზე აღიწერა ქართული არქიტექტურის მთელი რიგი ძეგლები.

ილებდა დიდ მონაწილეობას მუზეუმების დაარსების საქმეში. ტიტანური ენერგიით უძღოდა წინ ახალ მკვლევართა კადრებს, იყო მუდმივი მრჩეველი და განმხნევებელი იმათი, ვისაც გულწრფელად სურდა ხელოვნების ისტორიაში მუშაობა. ყველაფერი ხდებოდა სათუთად და შეუმჩნევლად.

საკვირველი იყო მისი სულიერ ძალთა სიმძაფრე, ის გულისხმიერება, რითაც ის შეიგრძნობდა ადამიანის სულიერ განწყობილებას, მუდმივი „უანგარობა მეცნიერების“ (ივანე ჯავახიშვილის გამოთქმით) მუდმივი ცდა, რომ გამოექვეყნებინა თანამშრომელთა წიგნები იმ დროს, როდესაც თავისი წიგნები ხშირად რჩებოდა გამოუქვეყნებელი.

გი ჩუბინაშვილს ქართული ოქრომჭედლოგები, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ ქართული ხელოვნების საქმეში და რომელთაც ღვაწლი მიუძღოდათ ამ საქმის წინაშე: იაკობ სმირნოვი, ზაქარია ჩხიკვაძე, აკაკი ჭანტურია, იროდიონ სონღულაშვილი, გოგლო ყაზახიშვილი.

ხალისითა და მონდომებით, რჩევით ეხმარებოდა ახალგაზრდა არქეოლოგებს, რომლებიც ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ მას. გიორგი ჩუბინაშვილის დიდ ღვაწლს შეადგენს, რომ მან მოაწყო რამდენიმე გამოფენა, რომლებმაც საყოველთაოდ აღიარებული გახადეს ქართული ხელოვნება.

იყო უსათუთესი და უფაქიზესი ადამიანი. ყველა ეს იშვიათი კაცობრიული თვისებები იხატებოდა მის სახეზე. როდესაც ის მიწვეული იყო გრემის მიდამოებში წარმოებულ გათხრებზე ენისელის სოფ. საბჭოს თავმჯდომარემ თქვა: შუქით სავსე სახე აქვსო.

საგანი, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლე, სიყვარული, სულიერი ძალები უძღვნა, ეს იყო მისი ხალხის ხელოვნება, რომელიც გამოხატავს ხალხის სულს, მის გემოვნებას, მის სიცოცხლეს, საუკეთესო მისწრაფებებს, კეთილშობილურ შეგრძნებებს, ინდივიდუალურ თვისებებს, ხალხის შემოქმედებით თავისებურებებს.

იგი ჩასწვდა ხალხის სულს და ეზიარა მარადისობას.

სარა ბარნაველი

ᲘᲣᲖᲐ ᲑᲕᲔᲢᲐᲫᲔ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება გელათის მიწაზე“ — ამ სიტყვებით ეგებებოდა გელათის ძეგლ-მუზეუმის ყოველ სტუმარს ქართული კულტურის ძეგლთა დაცვისა და სამუზეუმო საქმის ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი, გელათის ძეგლ-მუზეუმის გამგე იაკობ დავითის ძე ფუტკარაძე.

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იაკობი ჩვენს რიგებს გამოაკლდა, (ხუთი წელი თითქოს საკმაო დროა იმისათვის, რომ ადამიანის ხსოვნა დავიწყების ბურუსში გაეხვიოს, მაგრამ იაკობი იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ჩვენგან მიდიან და მიუხედავად ამისა, მათ მონაწილეობას ვგრძნობთ ხოლმე ყველა იმ საქმეში, რომელიც ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ისახავს მიზნად).

ი. დ. ფუტკარაძე დაიბადა 1925 წლის 28 ოქტომბერს ქ. ქუთაისში, მუშის ოჯახში. 1942 წელს, ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე , გაიწვიეს წითელ არმიაში, სადაც 1945 წლის მაისში მიღებულ იქნა სკკპ რიგებში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ იაკობი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და სწავლა გააგრძელა მუშა-ახალგაზრდობის V საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წელს. უკვე 1952 წელს იგი ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1956 წელს.

იაკობის არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. იგი ჯერ კიდევ სასკოლო ასაკიდან იყო დაინტერესებული ჩვენი ერის წარსულის ისტორიით, ისტორიისა და კულტურის ძეგლებით. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჯერ ექსკურსიამძღოლად, ხოლო შემდეგ გადაყვანილ იქნა გელათის ძეგლ-მუზეუმის გამგედ. ოცი წელი მუშაობდა იაკობი აღნიშნულ თანამდებობაზე და ამ ხნის მანძილზე შეძლო საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოეპოვებინა მის ირგვლივ მყოფთა შორის. აღნიშნულ პერიოდში მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით არაერთი საპასუხისმგებლო ღონისძიება განხორციელებულა. ალბათ საკმარისი იქნება მათგან დავასახელოთ ტყიბულის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში მოწყობილი სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციები, რომლებმაც ძეგლთა დაცვის საზოგადოებასა და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს მრავალი საინტერესო მასალა შესძინა.

ი. დ. ფუტკარაძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მისი ნაშრომების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მკითხველისათვის, ნაწილი კი დაცულია ხელნაწერის სახით. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში იაკობი ინტენსიურად მუშაობდა სადისერტაციო ნაშრომზე, რომელშიც უნდა გაშუქებულიყო ძველი და ახალი ტრადიციების პრობლემატური საკითხები. სამწუხაროდ ნაშრომი დაუმთავრებელი დარჩა.

ი. დ. ფუტკარაძე აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივ საქმიანობაში; წლების განმავლობაში იყო კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს წევრი, ხოლო 1974 წლიდან გარდაცვალებამდე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. იაკობი საზოგადოება ცოდნის და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახელით ხშირად გამოდიოდა ქალაქის წარმოება-დაწესებულებების მშრომელთა წინაშე საინტერესო ლექციებითა და მოხსენებებით. მისი საუბარი ყოველთვის გამოირჩეოდა საკითხის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით, შრომაში დაუზარებლობით, ენერგიულობით, არასოდეს უარს არ იტყოდა რაიმე დავალების შესრულებაზე, რაგინდ ძნელიც არ უნდა ყოფილიყო იგი. მისი ხასიათის მთავარ თვისებებს წარმოადგენდა პრინციპულობა, მომთხოვნელობა, მაგრამ ამავე დროს დიდი სიყვარული და გულისხმიერება ადამიანებისადმი. სწორედ ამიტომ მისი სახელი მუდამ ნათელ მოგონებად დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ № 56
СЕРИЯ «ПАМЯТНИКИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ»
АННОТАЦИИ

## VI СЪЕЗД ОБЩЕСТВА ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ ГРУЗИИ

19 декабря 1980 года в зале заседаний Верховного Совета Грузинской ССР состоялся VI съезд Общества охраны памятников культуры Грузии.

Места в президиуме занимают тт. Э. Шеварднадзе, П. Гилашвили, Г. Енукидзе, Т. Ментешашвили, З. Патаридзе, О. Черкезия, Ж. Шартава, видные деятели грузинской культуры, ученые, литераторы, гости из братских республик — Армении и Азербайджана.

Съезд вступительным словом открыл академик Академии наук Грузинской ССР Н. Кецховели.

Секретарь ЦК КП Грузии Г. Енукидзе огласил приветствие Центрального Комитета Компартии Грузии. Президиума Верховного Совета Грузинской ССР и Совета Министров республики VI съезду Общества охраны памятников культуры Грузии.

С докладом на съезде выступил председатель президиума Общества охраны памятников культуры Грузии, начальник Главного научно-производственного управления охраны памятников истории, культуры и природы Министерства культуры Грузинской ССР, профессор И. Цицишвили.

С отчетом ревизионной комиси Общества охраны памятников на съезде выступил заместитель председателя этой комиссии Б. Канделаки, с отчетом мандатной комиссии — ее председатель Ш. Папидзе.

В развернувшихся прениях приняли участие директор Института истории искусств Академии наук республики В. Беридзе, руководитель Центра археологических исследований Грузинской ССР, профессор О. Лордкипанидзе, первый секретарь Сагареджойского райкома партии М. Мезвришвили, министр культуры Абхазской АССР А. Аргун, председатели общества охраны памятников культуры Аджарской АССР и Юго-осетинской автономной области, писатель Ч. Амиреджиби и другие товарищи.

С речью на съезде выступил тов. Г. Енукидзе.

Состоялось первое заседание вновь избранного президиума Общества охраны памятников культуры Грузии. Председателем президиума избран И. Цицишвили, его заместителями — О. Санеблидзе, Г. Папалашвили, В. Беридзе и О. Лордкипанидзе. Секретарем совета Общества избран И. Закариашвили.

В сборнике публикуются материалы VI съезда Общества охраны памятников культуры Грузии; доклад председателя этого общества И. Цицишвили, резолюция, изменения в уставе.

И. БАНДЗЕЛАДЗЕ

## РЕЛЬЕФЫ ИЗ ЧАШЛЕТСКОЙ ЦЕРКВИ

Осенью 1977 года сотрудники Главного научно-производственного управления по охране и использованию памятников истории, культуры и природы проводили экспедицию в горной провинции западной грузии Лечхуми. В селе Чашлети, в маленькой церкви «Спасителя» были обнаружены каменные рельефные плиты, с изображениями евангелистов. Эти изображения представляют большую художественную ценность.

Стилистические особенности позволяют датировать рельефы рубежом X — XI вв.

В статье высказывается предположение, что эти плиты представляют собой иконы и все они исполнены одним мастером.

В. ЦИНЦАДЗЕ

## МАРТВИЛЬСКИЙ СТОЛП

В статье говорится о функциональном назначении Мартвильского столпа, который воздвигнут на обочине мартвильского монастырского плато.

В начале нашего столетия столп треснул на две части. До наших дней сохранилась только северная часть памятника. В статье автор рассматривает архитектуру, декор и материал, использованный при построении столпа. Он состоит из двух — разных по сути и функций частей. Нижний этаж был использован, как жилище столпника, а верхний этаж представлял собой церковь. В статье дается детальный обзор этих частей.

Мартвильский столп, который датируется примерно X-XI вв, значительный и уникальный памятник грузинской архитектуры и проект реставрации предусматривал путем восстановления общих архитектурных форм, сохранить ту часть памятника, которая дошла до нас.

На сегодняшний день восстановлен и укреплен один из замечательных памятников грузинской архитектуры — Мартвильский столп.

Г. БЕРИДЗЕ

## «ДОМ ПЕКАРЯ» НА ХЛЕБНОЙ ПЛОЩАДИ

Разнообразие архитектурных форм этого жилого дома, расположенного в исторической части города Тбилиси, результат разновременной строительной деятельности, этапы которой отображают естественные изменения жизненного уклада общества, а эволюция архитектурных форм соответствует общим явлениям характерным для городской архитектуры XIX века.

Г. ДЖАВАХИШВИЛИ

## ОБРАЗ ЧЕЛОВЕКА В МАЛОЙ ПЛАСТИКЕ ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

В статье рассматривается процесс становления художественного образа чел' века в малой пластике Грузии дофеодального и, частично, раннефеодального времен. На основании анализа глиняных, каменных и металлических фигурок и других изображений, в развитии этого образа выделены четыре основных этапа. В начале, в эпоху позднего неолита и энеолита (VI — IV тыс. до н. э.), изображения человека, олицетворяющие силы плодородия природы, представлены в крайне стилизованном женском образе, составленном из некоторых пластически организованных реальных и отвлеченно трактованных частей тела. В эпоху ранней бронзы (конец IV—III тыс. до н. э.) на первый план выступает образ мужского божества, то в сильно геометрически-стилизованной трактовке, то в «реалистической» передаче фигуры со всеми частями тела. Полное выражение этот образ получил в эпоху средней бронзы (первая пол. II тыс. до н. э.). В эпоху раннего железа (первая пол. I тыс. до н. э.) возникает образ мужского божества — героя, человека с аттрибутами божества, трактованного в экспрессивной манере. Сохраняясь вплоть до христианских времен, к середине I тыс. до н. э. этот образ постоянно теряет суровый облик божества, делается более динамичным, живым, нередко из таких фигурок составляются связанные по смыслу и композиции группы почти жанрового характера. На развитие этого процесса определенное влияние имели контакты с античным искусством. Феодализация страны и принятие христианской религии в IV в. поставили перед искусством, в частности перед пластикой, новые задачи. Основ-

ной задачей пластики стала пропаганда новой идеологии, причем если образы бога-человека и связанных с ним персонажей были взяты в готовом виде извне, то образы представителей правящей светской и духовной аристократии создавались на основе местной традиции, постепенно принимая вид изображения конкретного лица, т. е. портрета, лучшим примером которого могут служить ктиторские изображения Мцхетского Джвари.

Г. КИПИАНИ

## ОТДЕЛЬНЫЕ АРХИТЕКТУРНЫЕ ДЕТАЛИ ИЗ ВАНСКОГО ГОРОДИЩА

В результате долгих археологических исследований на Ванском городище выявлено немалое количество архитектурных деталей, слишком отдаленных от первоначального их местоположения, так что отнести которую либо из них к тому или иному вскрытому сооружению невозможно. Однако, эти детали четко отражают признаки, присущие архитектуре эллинистического периода, представляя этим возможность определить их функцию. Далее, благодаря этим деталям легче представить художественный и конструктивный облик архитектурных сооружений Ванского городища в эллинистическую эпоху.

Л. ГВРИТИШВИЛИ

## ВОДОЕМ НА СЕЛИЩЕ КОРАНТА

На территории селища Коранта, западнее районного центра Болниси сохранились остатки небольшого сводчатого каменного сооружения — водоема, куда вода поступала по керамическому водопроводу. Водоем довольно интересное инженерное сооружение средневековой Грузии.

Н. АНДГУЛАДЗЕ

## III МЕЖДУНАРОДНЫЙ СИМПОЗИУМ ПО ГРУЗИНСКОМУ ИСКУССТВУ

С 14 по 18 октября 1980 года в Италии был проведен III Международный симпозиум по грузинскому искусству, организованный университетами городов Бари и Лечче и Институтом истории грузинского искусства им. Г. Н. Чубинашвили АН Грузинской ССР.

Симпозиум вызвал большой интерес у специалистов разных стран; в работе симпозиума приняли участие ученые Советского Союза — из Тбилиси (20), Москвы (1), Еревана (2) и ученые зарубежных стран — Италии, Англии, Бельгии, ГДР, Греции, Венгрии, Югославии, Франции, ФРГ. Советскую делегацию возглавлял академик АН ГССР, директор Института истории грузинского искусства АН ГССР, профессор В. В. Беридзе.

Тематика симпозиума охватывала проблемы грузинского искусства X — XIII вв., а также включала вопросы взаимоотношений с другими странами, проблемы, общие для искусства Грузии и стран Ближнего Востока и Европы.

Соответственно с тематикой докладов, заседания проводились в 4 секциях. Всего было заслушано около 60 докладов. Советские ученые представили доклады по всем основным отраслям грузинского искусства—архитектуре, живописи, скульптуре, прикладным искусствам, с соответствующими иллюстрациями.

По заранее намеченному плану уча-

стники симпозиума знакомились с искусством Италии и с византийскими памятниками; во время работы симпозиума были устроены официальные приемы и концерты.

На заключительном заседании симпозиума, представители всех делегаций выразили большое удовлетворение по поводу форума, отметив его большое значение в отношении лучшего выявления подлинного места и ценности грузинского искусства. Симпозиум послужил углублению личных и профессиональных контактов между советскими и зарубежными учеными, упрочению авторитета советской науки.

С. БАРНАВЕЛИ

## НАУЧНАЯ СЕССИЯ, ПОСВЯЩЕННАЯ 95-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ АКАДЕМИКА Г. Н. ЧУБИНАШВИЛИ

В 1980 году исполнилось 95 лет со дня рождения великого ученого и видного общественного деятеля — Г. Н. Чубинашвили, который является основоположником грузинского искусствоведения.

В статье рассказывается о деятельности этого великого ученого, об его огромных заслугах перед грузинской культурой.

Служению искусству своего народа он посвятил всю свою жизнь, любовь, духовные силы, энергию.

И. ГВЕТАДЗЕ

## ПАМЯТИ Я. Д. ПУТКАРАДЗЕ

Статья посвящена памяти Якова Путкарадзе который на протяжении многих лет был связан своей деятельностью с делом охраны музейных ценностей и памятников грузинской архитектуры.

После окончания исторического факультета, Я. Путкарадзе начал работать в историко-этнографическом музее, и вскоре был переведен заведующим Гелатского музея. Двадцать лет работал он на этой должности. Устраивал научные экспедиции, выступал с интересными лекциями и докладами на производствах и учреждениях, вел плодотворную научно-исследовательскую работу.

В 1975 году смерть прекратила кипучую деятельность энергичного, принципиального и благородного человека вся жизнь, которого была посвящена изучению и охране памятников культуры Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## THE VI CONFERENCE OF THE GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

On the 19th of December, 1980 the VI Conference of the Georgian Society for protection of cultural monuments was held in Tbilisi.

The Conference discussed the current situation and the main problems in the field of protection of monuments of culture.

Some shortcomings in the work were pointed out and future plans were outlined.

The first meeting of the new elected presidium of the Society for Protection of cultural monuments was held.

I. BANDZELADZE

## RELIEFS FROM THE CHASHLETI CHURCH

In autumn, 1977, experts from the Central Scientific-Industrial Board for the Preservation and Use of Historical, Cultural and Natural Monuments were exploring the alpine province of Lechkhumi in Western Georgia. In a village named Chashleti, in the small church of Our Saviour they found stone relief slabs depicting Evangelists. These portrayals have a high artistic value.

Their stylistic peculiarities make it possible to date the reliefs by the turn of the 10–11th centuries.

The author puts forward a hypothesis that all these slabs represent icons and are the works of the same master.

V. TSINTSADZE

## THE MARTVILI PILLAR

The article deals with the functional purpose of the Martvili pillar which was erected on the edge of the Martvili Monastic Plateau.

At the turn of our century the pillar cracked into two parts. Only the northern part of the monument has survived till the present day. The author of the article considers the architecture, decor and the material used for the building of the pillar. The pillar consists of two–different in nature and function – parts. The ground floor was employed as living quarters for the pillar's dweller, and the upper floor housed a church. The article gives a detailed review of these parts.

The Martvili pillar dating back to the 10–12th cent. is a very significant and unique monument of Georgian architecture, and the preservation of the surviving part of monument through restorating of common architectural forms was stipulated by the restoration plan.

At present, there has been restored and strengthened one of the most important monuments of Georgian architecture – the Martvili pillar.

G. BERIDZE

## «BAKER'S HOUSE» ON THE BREAD SQUARE

A variety of architectural forms of the dwelling house, situated in the historical part of Tbilisi, is the result of construction work during various periods, the stages of which reflect the natural changes in the Society's way of life. The evolution of architectural forms corresponds to common trends typical of the 19th century city architecture.

G. JAVAKHISHVILI

## THE HUMAN IMAGE IN SMALL-SCALE PLASTIC ART OF ANCIENT GEORGIA

The article deals with the process of the development of the man's image in small-scale plastic art of the pre-feudal and, partially, of the early feudal Georgia. On the basis of the analysis of clay, stone and metal figurines and other images, the development of the human image is divided into four main stages.

The article deals with all the four stages of the development of plastic art with a gradual transition to the creation of a concrete face, that is of a portrait. The best examples of this process may be the ktitor images of the Jvari cathedral.

G. KIPIANI

## SOME ARCHITECTURAL COMPONENTS FROM THE VANI TOWN SITE.

As a result of many years' archaeological explorations at the Vani town site there were unearthed a considerable number of architectural components too removed from their original location to be identified and reffered to this or that excavated structure. Nonetheless, these components clearly reflect the features typical of the architecture of the Hellenistic Period, thus enabling the researchers to determine their function. Moreover, because of these components it would be easier to reconstruct mentally the artistic features and design of architectural structures at the Vani town site in the Hellenistic Period.

L. GVRITISHVILI

## THE RESERVOIR ON THE VILLAGE SITE OF KORANTA

On the territory of the village site of Koranta, to the west of the district centre, Bolnisi, there survived till our times the ruins of a small arched stone structure – a reservoir, to which water used to flow along the ceramic water pipe.

The reservoir is rather an interesting engineering structure of the medieval Georgia.

N. ANDGULADZE

## THE 3RD INTERNATIONAL SYMPOSIUM ON GEORGIAN ART

From 14 to 18th of October, 1980 in Italy there was held the 3rd International Symposium on Georgian Art sponsored by the Universities of Bari and Lecce and History of Georgian Art under the the G. N. Chubinashvili Institute of the Georgian SSR Academy of Sciences.

The symposium aroused a wide interest among experts of various countries. Among those participating in the symposium were scientists from the USSR – from Tbilisi (20), Moscow (1), Erevan (2) – scientist from such foreign countries as Italy, Great Britain, Belgium, the GDR, Greece, Hungary, Yugoslavia, France, the FRG. The Soviet delegation was headed by prof. V. V. Beridze, director of the Institute of the History of Georgian Art and Academician of the Georgian SSR Academy of Sciences.

The themes discussed at the symposium embraced the problems of the 10–13th cc. Georgian Art, and also included the problems of relations with other countries – problems which are common for Georgian art and countries of the Near East and Europe. According to the themes of the reports, sessions were held in 4 sections. All in all, about 60 reports were presented. The Soviet scientists reported on all main branches of Georgian Art – architecture, painting, sculpture applied arts – with appropriate illustrations.

According to the planned schedule, the participants of the symposium were taken on sightseeing tours to view samples of Italian art and Byzantine monuments;

formal receptions and concerts were arranged in the course of the symposium.

At the final session of the symposium the representatives of all the delegations expressed their deep satisfaction with the work of the forum, noting its great importance of more precise determination of proper place and value of Georgian art. The symposium promoted the establishment of deeper personal and professional contacts between Soviet and foreign scientists and the strengthening of prestige of Soviet science.

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Серия: Памятники материальной культуры**
**Выходит на общественных началах**

«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»

(друзья памятников культуры)
Сборник пятьдесят шестой
(на грузинском языке)

**სარედაქციო კოლეგია:** ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მ. მდივანი), ოთარ თაქთაქიშვილი, ირაკლი ზაქარიაშვილი, ნიკო კეცხოველი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მაჭარაძე, ოთარ სანებლიძე, თენგიზ ფერაძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — ვახტანგ ცინცაძე

Редактор серии **Ираклий Цицишвили**
Редактор **Вахтанг Цинцадзе**

გამოცემის საზოგადოებრივ საწყისებზე

გადაეცა წარმოებას 11/II-1981 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI-81 წ., ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 5. სააღრ.-საგამომცემლო ანაწყობის ზომა 7×11,5, ქაღალდის ზომა 70×108 1/16
რედაქციის მისამართი: ძერჟინსკის ქ. № 19, ტელ. 99-84-47.
შეკვ. № 57 უე 00388 ტირაჟი 3.000

**ფასი 72 კაპ.**
Цена 72 коп.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Тип. изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა